

ლიტერატურული გაზეთი

№7 (287) 11 - 17 ივნისი 2021

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ბექა ახალაია
შედეგობრივია

ამალამ,
თავისი ვაჟიშვილის
საფლავის გვერდით,
ორი მეტრის სიღრმეზე, მიწაში,
პირველად გაათევს ღამეს
დიდი მწერალი.
დროდადრო,
საკუთარი შედეგებით
თავმოებზრებულს,
ალბათ, რამდენჯერ უოცნებია ამ წუთებზე,
როცა ოცდაათი წლის უნახავ ვაჟიშვილს
მიუწვებოდა გვერდით,
როგორც ოდესღაც
მიწოლია ლოგინში.

/სხვამ რა იცოდა (სხვამ როდის იცის!),
თუ რა უდულდა შიგნით!/
V

დიდ მწერალს
მთავარ პანთეონში დაუპირეს
დასაფლავება,
ცხადია, ეს მხოლოდ
მადლიერებით მოსდიოდათ,
მაგრამ ვინმე თუ დაფიქრდა იმაზე,
როგორ უმსხვერვინენ
ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე
ნალოლიავე მთავარ ოცნებას?!
მადლობა ღმერთს,
ანდერძისამებრ,
ის საბოლოოდ ჩვეულებრივ პანთეონში
დაასაფლავეს
და ამალამ,
თავისი ვაჟიშვილის
საფლავის გვერდით,
ორი მეტრის სიღრმეზე, მიწაში,
პირველად გაათევს ღამეს
დიდი მწერალი

/და სწორედ ახლა ყველაზე მეტად ბედნიერია,
ალბათ./

იმ დღეს
საინფორმაციო გამოშვებები
იმიტომ დაიწყა,
რომ სადღაც, თურმე,
ოპოზიციის მიერ ორგანიზებული
ანტისახელისუფლებო აქცია გაიმართა,
დიდი მწერლის გარდაცვალება კი
მესამე თუ მეოთხე ნიუსად გაუშვეს.
და მე მომინდა,
გავვარდნილიყავი ქუჩაში
და ბოლო ხმაზე მეყვირა:
„— პოლიტიკურ კინკლაობას
გადაყოლილო ნაბიჭვრებო,
ის გარდაიცვალა,
დიდი მწერალი

/და არაფერი?! და არაფერი?!
და არაფერი, ვითომ?!“/

მკითხველებმა და
ვითომ მკითხველებმა კი,
როგორც სჩვევიათ ხოლმე ასეთ დროს,
„ფეისბუქზე“,
ონლაინ დაიწყეს გლოვა,
პოსტავდნენ ნაწყვეტებს
დიდი მწერლის რომანებიდან და
მოთხრობებიდან,
ვისაც ჰქონდა,
დებდა მასთან გადაღებულ ფოტოს.
ამ ყველაფერს
ყოველთვის თან ახლავს ხოლმე
მოჩვენებითობა და სიყალბე,
ამიტომ მე ჩემთვის ვიჯექი
და ვგლოვობდი დიდ მწერალს,
მიუხედავად იმისა,
რომ ფოტო
მეც მაქვს მასთან გადაღებული.
„— გამიშვით, რა...“ —
უმწურო ბავშვივით გვთხოვა
დიდმა მწერალმა,
მაგრამ ნაბიჭვიც არ გადავადგმევინეთ,
სანამ არ გადავიღეთ
რამდენიმე ფოტო,

/მერე ხელჯოხის ჩუმი ბაკუნით
ნელა გავიდა გარეთ.../

ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ
რელიგიაში ღრმად გადავარდნილი
დიდი მწერალი,
ბოლო წლების განმავლობაში,
საჯარო შეხვედრებზე,
ორთოდოქსი სასულიერო პირივით
მეტყველებდა,
მაგრამ მე მაინც
არაფერი მერჩივნა მის მოსმენას.
ყოველ შემთხვევაში,
ბევრ ფსევდოინტელექტუალზე
გაცილებით საინტერესოდ
საუბრობდა ხოლმე...

/მზე უკვე ჩადის, და როცა ჩავა და
ჩამოწვება ბინდი,/

აი, იქ,
იმ ჩვეულებრივი პანთეონის წინ მდგარ
პატარა ეკლესიას
შუქმომფენი პროჟექტორებით
გააჩახჩახებენ.
ის ჩვეულებრივი პანთეონი,
რომელიც დღეიდან
არაჩვეულებრივი გახდა,
ჩემი სახლიდან სულ რაღაც
სამიოდე კილომეტრით არის დაშორებული,
მის სიახლოვეს ადრე
დიდი ნაგავსაყრელი იყო,
სადაც, ცხრამეტი წლის წინ,
მე და მამაჩემმა
აგურები და ბლოკები მოვავროვეთ
და ჩვენი ბინის კედლები
ამოვიყვანეთ.

/რას ვიფიქრებდი მაშინ, თუ მწერალს,
დიდ და საყვარელ მწერალს,/

წლების შემდეგ
სწორედ იქ დაასაფლავებდნენ,
ახლა კი ვფიქრობ,
ოღონდ სხვა რამეზე ვფიქრობ...
ვფიქრობ რამე ისეთ უჩვეულოზე,
დიდი მწერლის
უჩვეულო შემოქმედებას რომ შეეფერება...
და მე აივნიდან სახლში შევდივარ,
ვიღებ დიდი მწერლის სქელტანიან ნიგნს —
მოთხრობების კრებულს,
აივანზე ვბრუნდები,
ნიგნიდან ფურცლებს ვხევ და
აივნიდან ვყრი.




ლელა სამნიაშვილი
ადამიანი

ნუგზარ ზაზანაშვილს

რა მარტივია, შეგიყვარდეს ადამიანი.
საკმარისია, აიხედო, ღრუბლის ქაფიდან
მოსვა, ხეების კენწეროზე გადაიაროს
თვალმა, ბუმბულად აენებოს ჩიტს

და გაფრინდეს.

შავი ყვავებით, მოხატული ლეოპარდებით,
ტყეებით, მერქნით სასულეებს რომ იფარავენ,
ივსება თვალი. ადამიანს მოენატრება
ეს ყველაფერი — არაფრიდან.
და არაფერი — ვერ იარსებებს.
აივსება ამ მონატრებით.
და სამოთხესაც გააშენებს და ააყვავებს.



შმავუნი ნოგარი
ერთ კვირაში —
18 ივნისს

ეზოში მოთამაშე ბავშვები
ფურცლებს ისეთი ალტაცებით იჭერენ,
თითქოს ათას დოლარიანი კუპიურები იყოს,
მათ ჯერ არ იციან,
იმ ფურცლებზე დაწერილ ტექსტებს
ნებისმიერ ვალუტაზე
გაცილებით მაღალი
კურსი რომ აქვთ,
მათ ჯერ არ იციან...
მათ ჯერ წინ აქვთ
პირველად ნაკითხვის ბედნიერება,

/სამაგიეროდ სულ ეხსომებათ
ციდან ფურცლების ცვენა./



ბექა ახალაია

ჩემი მარჯობა ახალს

ყოველ საღამოს
ბავშვს ასეირნებ ხოლმე პარკში,
შენს თითოეულ მოძრაობას,
თითოეულ ნაბიჯს
წარმოუდგენელი მორიდება ახლავს,
თითქოს ცდილობს,
ვინმეს არ აწყენინო რამე,
ვინმე არ ავიშარდეს.
თითქოს ცდილობს, დაგვანახოს,

/როგორ კარგად გაქვს გააზრებული,
რომ სტუმარი ხარ მხოლოდ,/

რომ ეს ჩვენი სამშობლოა
და შენ არანაირად არ გვეცილები,
უბრალოდ მაღლიერი ხარ,
რომ მიგიღეთ.
ჩვენს შვილებთან მოთამაშე შენს შვილს
ფეხდაფეხ დასდევს,
გეშინია,
ვაითუ მათ დისკომფორტი შეუქმნას.
როცა შენს შვილს
რომელიმე ბავშვი წაეკინკლავება
(მაშინაც კი,
როცა აშკარად ის სხვაა დამნაშავე),
შენსას ტუქსავ იმ ორი ღერი ქართულით,
რომლის სწავლაც მოასწარი,
ან სულაც შეძელი,
შენს შვილს სიტყვაც არ ესმის,
მაგრამ ამას ჩვენს გასაგონად აკეთებ:
„ — ცუდი ბავშვი! კაი ბავშვებს ნუ ბრახებ!“ —

/ჩვენ გადმოგვხედავს, გააბოლებ და
უკან ჩაიდებ კოლოფს./

ერთხელ წინა კორპუსთან წამოგენი
და სახლამდე
უშველებელი ჩანთის მიტანაში დაგეხმარე,
მას შემდეგ
დიდი ამბით მესალმები ხოლმე,
ისე გიხარია ჩემი დანახვა,
ლამისაა,
შენი ტომის
სარიტუალო ცეკვა დაუარო.
ჩვენი შვილებიც მეგობრობენ,
ჩემი გოგონა ძალიან თეთრია
და მეზობლებს
ახალისებთ მკვეთრი კონტრასტი
ჩემი და შენი შვილის ფერებს შორის.

/და მე ასეთ დროს სულ მახსენდება ერთი ამბავი:
როცა/

ჩემი გოგო პატარა იყო,
„ჯინო ფერედაისში“
როგორ დაგვესივნენ არაბები
და სათითაოდ
იღებდნენ ფოტოებს ჩემს გოგონასთან.
მერე, ალბათ,
„ფეისბუქზე“ და „ინსტაგრამზე“ ატვირთავდნენ,
იქნებ რომელიმე მათგანის
საოჯახო ალბომსაც ამშვენებს
ჩემს შვილთან ერთად გადაღებული ფოტო,
როგორც საქართველოს მოსაგონარი,

/ათვალიერებს, არც ახსოვდა და
გადაწყდება უცებ.../

აბდუ,
ჩემო მეგობარო,
შენს შემყურეს ეგოისტურად მიხარია,
რომ სადღაც არსებობს
საქართველოზე უარესი ქვეყანა,
საიდანაც აქ ჩამოდიან
უკეთესი ცხოვრების საძებნელად.
აბდუ,
ჩემო მეგობარო,
იქნება და, როგორ გენატრება
შენი ღარიბი სამშობლო,
რომელმაც ცოლ-შვილიც კი ვერ შეგინახა
და რომელსაც თავქუდმოგლეჯილი გამოექეცი?!
აბდუ,
ჩემო მეგობარო,
იქნებ იმ მერცხლებს,
შენი ნაქირავები
სარდაფის თავზე რომ აქვთ ბუდე,
აბარებ ხოლმე მოკითხვას
შენს სამშობლოსთან,
როცა, ზაფხულის მინურულს,
სითბოს საძებნელად,
აფრიკაში მიფრინავენ?!

/შენს შვილს ყოველთვის
მათი ბუდისთვის კენჭების სროლას უშლი./

აი, მე, მაგალითად,
ვერასოდეს გადავსახლდები ცუდ,
მაგრამ საქართველოზე
ცოტათი უკეთეს ქვეყანაში.
განა რამე?!
უბრალოდ ვინმე ჩემნაირ
იქაურ ნაბიჭვარს
არ მივანიჭებ იმის სიამოვნებას,

/რომ დაამცროს ჩემი სამშობლო
თუნდაც თავისთვის, გულში./

მელა

სოფელი მეთქი,
თორემ იმ დასახლებას
არანაირად არ ეთქმოდა სოფელი,
რამდენიმე, ზუსტად ერთნაირი,
სახლი იდგა მდინარის პირას,
ოდესღაც საიდანღაც წამოსული
ერთი საბიძაშვილო
გვერდიგვერდ დასახლებულიყო.
ერთნაირ ბუხრებში, ყოველ დილით,
ზუსტად ერთსა და იმავე დროს
ინთებოდა ცეცხლი

/და ყველა სახლში მალე დგებოდა
ყველას სამყოფი სითბო,/

ერთი ფერის სახურავები
ერთსა და იმავე დროს ჩნდებოდნენ
დილის ბინდიდან,
ერთი სიმაღლის საკვამურებიდან კი
ზუსტად ერთსა და იმავე სიმაღლეზე
ამოდიოდა კვამლი,
ერთი ზომის ეზოებში
ერთსა და იმავე დროს
გამოდიოდნენ სათამაშოდ
ერთი ასაკის ბავშვები,

/ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი,
ტყულები იყვნენ თითქოს./

ჯერ თავიანთ ეზოებში თამაშით
იჯერებდნენ გულს,
მერე კი ერთად გაიკრიფებოდნენ
მდინარის პირას
და იქ აგრძელებდნენ თამაშს.
ერთსა და იმავე დროს, წყვილ-წყვილად,
ნაეკიდებოდნენ რალაცაზე ერთმანეთს,
ცოტა ხანს გაბუტულები მისხდებოდნენ,
ერთმანეთისგან მოშორებით,
მინაში სანახევროდ ჩასულ
უშველებელ ქვებზე,
ერთსა იმავე დროს გადაუვლიდათ ბრაზი
და ისევ აგრძელებდნენ თამაშს,
სანამ სადილზე არ დაუძახებდნენ
მშობლები.

/სადილის შემდეგ ისევ მდინარე. ისევ სირბილი. ოფლი./

მდინარის გადაღმა კი
მათი მამები მიყოლებით ამუშავებდნენ
მოსაზღვრე საფართობე ყანებს,
როგორც საერთო საკუთრებას,
რადგან არაფერი ჰქონდათ გასაყოფი,
დედები
დიდი ჭადრის ძირას
ძელსკამზე ისხდნენ და დუმდნენ,
ერთმანეთს ხომ ვერ გაჭორავდნენ, არა?!
ხოლო სხვებისა არაფერი იცოდნენ.

/იქ კი, შორს, ქორი დასტრიალებდა
ველზე გაბნეულ სოფლებს./

და აი, ერთხელ,
მათი იდეალურად იდილიური ცხოვრება
მელამ დაარღვია,
ერთი და იმავე ზომის საქათმეებიდან
ყოველ ღამე
ერთი და იმავე რაოდენობის
ქათმებს იპარავდა.
დაუდარაჯდნენ,
მაგრამ ვერაფერი გაანყვეს,
ახლომახლო სოროს დაუნყვეს ძებნა,
ესეც უშედეგოდ.
ქათმები კი ისევ ქრებოდნენ.

/ერთი თვის შემდეგ ბავშვებმა ნახეს,
ძალღებს დაეხრჩოთ მელა./

შინიდან
დანები მოიპარეს და გაფატრეს,
კუჭ-ნაწლავი
ბუმბულით ჰქონდა სავსე.
მისი ლემი
რამდენიმე დღე ეგდო მზის გულზე
და ღებოდა.
ბავშვებს მშობლებისთვის
არაფერი უთქვამთ,
რატომღაც ეგონათ,
რომ გაუბრაზდებოდნენ ამის გამო...

/გავიდა წლები, გავიდა წლები,
ჩვენ გავიზარდეთ ყველა,/

გარდა ერთისა,
რომელიც მდინარეში დაგვეხრჩო
თერთმეტი თუ თორმეტი წლის,
სხვებმა კი
ჩვენ ჩვენი გზა ვნახეთ და სოფელში,
რომელსაც
არანაირად არ ეთქმის სოფელი,
იშვიათად თუ ჩავალთ ხოლმე,
იშვიათად ვხვდებით ერთმანეთსაც,
სწორედ გულში იყო
ეს იშვიათი შემთხვევა,

/ვისხედით, ვსვამდით, ხომ ახლავს ხოლმე
თავისი წილი სევდა/

ბავშვობის გახსენებას?!
როგორც ყოველი შეხვედრის დროს,
ამჯერადაც გავიხსენეთ,
როგორ ვიდექით
ნახევრად გახრწნილი
მელიის ლემთან,
უცებ დაბერილმა სიომ
როგორ ამოყარა
გადახსნილი ჭრილობიდან
უკვე გამშრალი ბუმბულები,
როგორ თვალს და ხელს შუა
შეიკრნენ პატარა გუნდებად
და, წინილებივით,
მწკრივად გაჰყვნენ ქარს სადღაც.
მას შემდეგ
სულ ვეკითხებით ხოლმე ერთმანეთს,
ეს ამბავი

/მართლა მოხდა თუ მოგვეჩვენა
თუ გამოვიგონეთ ერთად?!



ლელა სამნიაშვილი

ავტო-კინოთეატრი

ამ ქალაქის მიტოვება ნეტა რატომ გინატრია —
 აღარც გახსოვს, გინყდებოდა —
 მოთმინების ძაფი — რატომ.
 ცა ფილმია და საცობი — ავტო-კინოთეატრია —
 მიიწვევენ მანქანები და ქალაქის საბინადრო —
 მანქანებში შეყუყულებს — ცას გაყურებს — საცობიდან.
 მზის ჩასვლა — მომენტია —
 ალისფერთან შეჯვარება —
 ლურჯის. და ეს ფართო კადრი —
 ვიდრე სცენას აეცლება —
 აღარავის — აღარსაით — წუთით — აღარ ეჩქარება.

კარიერები

კარიერა და კარიერი —
 ორი ორმო — წალმა-უკულმა —
 ერთნაირად დამძიმებული —
 ჩინოსნებით და მემუხტებით —
 ერთი გრძელი გვირაბია, ძველი გვირაბი.
 თუნდ ჩირაღდნები გამოკიდეთ,
 თუნდაც ჭაღები,
 თუნდ წერაქვები მოიმარჯვეთ,
 თუნდ ეკრანები —
 ვინ გააღწევს ამ ორმოდან სამშვიდობოს,
 რომელი ბრგე მემადაროე,
 წლებსა და მინას შორის ძვლები ვისაც ელევა,
 რომ პური დადოს მაგიდაზე ყოველ საღამოს
 და მოკლე ძილში დააღწიოს თავი
 მკვებავ და მკვლელ მადაროს,
 ან რომელი პიჯაკოსანი,
 ჩაფრენილი თოკის კიბეს,
 უხილავმა ხელმა მისთვის რომ ჩამოუშვა,
 და ცდილობს, ცდილობს,
 მის თავსზემთ გამოკიდული
 ფეხსაცმლის წვეტი აიცილოს,
 წინ წაინიოს, დაიცვას ტემპი.
 დანარჩენებმა ჰორიზონტი გამოვიგონეთ,
 მზის ამოსვლას და ჩასვლას შორის
 გავავლეთ ზოლი

და მივაშტერდით,
 კარიერის შუაგულში დავტყუპნეთ მინა,
 დავიჯერეთ, რომ არსებობს ზემოთ და ქვემოთ,
 რომ შეიძლება გქონდეს სახლი და მომავალი
 ამ წმინდა კუპრით სავსე ორმოში,
 რომ ფართოდება შეუმჩნეველი, დიდი სისწრაფით
 და ნახშირი და ალმასი მის ლუმელში თანაბრად იწვის.

დროებით ცოცხლების სადარდელებს —
 პანთეონს, მთაწმინდას —
 რასაც უკვდავებას ადარებენ —
 დაყურებს ამ ციდან —
 სიჩუმე — არქაულ მტვერს რომ ანიავებს.
 გრძნობებით, გონებით —
 ადამიანისთვის — ადამიანები
 ვართ პანთეონები.

ტალღა

ფრთხედ ლაგდება შოშიების კორიანტელი,
 გიგანტურ რომბად, სკად, მატრიცად,
 მის ვიბრაციას
 გრძნობს თვალის გუგა. და გადაღმა ორი ამდენი —
 მნიფე ვენახში იფანტება. მინას აცვივა
 წვეთის წერტილი — უთვალავი, და ინელება
 ვერტიკალურად, იფანტება, ქალაქი იწოვს
 აორთქლებამდე. კიდევ ბევრი დაინერება
 თვალისათვის და მათ მიღმა. და ყველა ვინრო
 ბზარი და ყველა მთა, მენყრისგან პირდაღებული
 ამოივება არაფრით. გალაქტიკების
 მტვერი დანინკლავს ლურჯ სიჩუმეს, ზედ მიმაგრებულ
 პლანეტებს, ღმერთებს, ჭიანჭველებს. და ჩვენ ვიქნებით
 წინდანინ — მომსწრე ამ ყველაფრის.
 ყველაფერს ვნახავთ.
 ჩვენი თვალები წალეკავენ არყოფნის ტალღას.

სარკე ოთახში

ჩვენ ამ ცხოვრებას განუწყვეტლივ ვუცვლით დიზაინს
 და არ არსებობს სხვა სურვილი და სხვა მიზანი —
 ვურჩევთ რაკურსებს,
 განსხვავებულ ქალაქში ვფუთავთ,
 ვრეცხავთ და ვაშრობთ,
 რომ როგორმე გამოჩნდეს სუფთა —
 მტვერისგან, მინისგან მოზელილი წლები, დღეები,
 ვლებავთ ჭერს, კედლებს, მოპოვებულ მოცალებობას —
 მოვალეობებს თუ დავტყუეთ — ვახარჯავთ ფასადს
 და არაფერი გვეჩვენება უფრო ძვირფასად,
 ვიდრე ის ნამი — ახალ ხედებს რომ გამოვიჭერთ.
 და თუ დაძველდა, იკუმშება, ისე მოვიჭერთ —
 ეს უსასრულო სივრცე, თითქოს სულყველა ფერი
 დაკარგა, კენჭით ამოივსო ზღვა და სიბერით —
 სარკე — მუდმივად ზედაპირზე გაკრული სიღრმით —
 თვალს რომ გვიღვინოს ნაოჭების ახალი შტრიხი.

სიტყვა

აი, ეს სიტყვა — „უზენაესი“ —
 როგორ გადარჩა —
 სასამართლოსაც შეეკედლა,
 პატრიარქებსაც,
 ბეჭდად დაეცვა ქალაქებზე
 დასმულ განაჩენს
 და მრევლის ტურებს,
 რომ აქებენ მას, რაც არა ჩანს.
 ამ სლენგების და უძველო ენის
 საფუძვალზე გაძლო,
 ამ ქვეყანაში,
 სადაც კენჭად ყრია სიტყვები —
 დღემდე გაისმის,
 მაგრამ სმენა წამშივე აძრობს
 ფრაზას —
 ლამაზი, უსარგებლო იარლიყივით.

გული — გარათუა

თუმცა ყველაზე ხშირად გვლალატობს,
 ვაქციეთ გული გრძნობის ემბლემად
 და ინფარქტების მოკლე მარათონს
 ამ გულის მგონი არ გაეგება
 არც არაფერი. სიმეტრიულად —
 ის — თავისთვის და თავისთვის — გული,
 რომელმაც იცის მძიმე, წრიული
 სისხლის ნაკადის ტალღისებური
 რუტინა — არც კი ცნობენ ერთმანეთს.
 ბავშვებს ვასწავლით გულების ხატვას,
 ქირურგები კი მკერდს გვიკვეთავენ
 და ყველაფერი, ვარდების გარდა,
 მოჩანს ამ სისხლში. და სიმეტრიაც,
 ჩვენს სიყვარულებს რომ დავუწესეთ,
 რადგან არასდროს გაგვიკვეთია
 გულის ფიცარი, ალბათ გულწრფელზე
 გულწრფელიც არის. ორივე რკალი
 მოჩანს ფაქიზი და თანაბარი —
 ბარათზე — ნამით თვალი რომ მოვკრათ —
 ისევე გულდასმით ცდილობს ფანქარი.

თამბაქოს ძველი ფაბრიკა

ძველ კარზე ახალი ჩრდილების ფათურით
 არის დღე დილითაც, ღამითაც გართული
 და ველარ იკარებს კედლების სახე რულს
 დაეძებს ხსოვნაში ჩატეხილ სახელურს
 ფაბრიკის, რომელიც წინა საუკუნემ
 ჩაკეტა, ფანჯრებიც ისე დაუხურეს,
 აფიცრეს — თითქოს თეთრგვარდიელ ოფიცრებს
 გაჰყვით გასაღები. თუ გავლა მოგიწევს,
 გაკვამლულ მუშებს და დაპრესილ თამბაქოს
 ველარც კი იყნოსავ. რა უნდა დააკლოს
 დრომ მეთი. აქედან თუ სულმთლად აიღებს
 და ამოაშენებს კრიალა აივნებს,
 დრო გალარობდება (ღარიბიც გადის დრო) —
 ასეთი ჩრდილებით თავს ველარ გაირთობს.

მოტივი

რადგან ვერ ვნახე უკეთესი თავშესაქცევი —
 ამ აფეთქებულ სამყაროში სტრიქონს ჩავცქერი.
 მეთი აზარტით მსხვილ ბანკოტებს და ბანქოს დასტას
 ჩაყურებს ბევრი, მაგრამ ლექსი ძვალრიბილში ატანს.
 თავის დროს უცდის, რომ მოგძებნოს, აგეკვიატოს.
 მისთვის არც ადრე არ არსებობს და არც გვიან. დროს
 ითვლის პირველი ბგერადან და თანხმობვანს, ხმოვანს,
 ყველა ამბავს და უამბობას, რაც უსახსოვრა —
 ერთმა გონებამ — ყველა შემდეგს —
 იბეჭდავს სწრაფად,
 სულსწრაფად, ვიდრე მელოდიას გაყვება ძაბვა.
 და თავისთავად ჩნდება რიტმი, ეწყობა პაზლი
 და აქაც მხოლოდ აზარტია მთავარი აზრი.
 ტყვია-ნამალი, შაშის დაფა, ფქვილის საცერი —
 უთვალავია ალბათ მსგავსი თავშესაქცევი,
 მაგრამ სტრიქონი მოვძებნე და ისე ჩავცქერი,
 თითქოს ეს არის — დასარჩენი და გასაქცევი.





გიორგი ბალახაშვილი

წერილები საკნიდან — წრე მესამე

1(25)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, გახსოვს კიევის მოედანი, სუსხი, ბერკუტი? კიევის პარკში სტადიონთან შევხვდით ერთმანეთს, ბედისწერა ყოველივე, მენდე, ღმერთმანი, აზრადაც კი არ გამივლია, რომ იქ განახავდი, დემონსტრანტების მხარდასაჭერ მიტინგს ვმართავდით, ვიდექით უხმოდ და ვუცქერდით სახელდახელოდ დადგმულ მონიტორს, დაფინებით, ფართოდ გახელილ, მრუმე თვალებით, შემდეგ ხელი ხელზე შეგახე და გამახსენდა სტუდენტობის წლების შესახებ, ბოლოს გარეჯში რომ ვიხილეთ დავითის ლავრა, მახსოვს გამოცდაც, ნაშრომები საბაკალავრო, აქციის შემდეგ მთელი ღამე შევრჩით ხეტიანს, წყალს წაუღია, რაც ხსოვნაში ვერ დაეცა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, გახსოვს კიევის მოედანი, სუსხი, ბერკუტი?

2(26)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დამნაშავე ვარ, ვადიარებ, მართლაც ვიქურდე, წყეულ დროის სვლას მივინყებინს ობი მოვპარე და ნაქურდალი მოეფინა მრუმობას, ლალატს; მე ისევ მახსოვს შენი მზერა — ცნობისმოყვარე, შენი უმანკო გამოხედვის ბავშვური ძალა, პირველად როგორ დაგვატყუე ჭიქა ვისკიზე, წამით დაფიქრდი, წამოიხეე შემდეგ კისკისი, მე ვერც თანხმობად მივიჩნიე და ვერც უარად, ალბათ ჩემს სახეს სიფითრემაც გადაუარა, შემოგვეცალა ვენებებით ჯონი უოლკერი, მახსოვს, დილაზე ვატრიალეთ მოჯო, კოკერი, საოცრად ჰგავდა ის საღამო ნაწყვეტს ფილმიდან, წყალს წაუღია უშენობის ყველა ფორფიტა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დამნაშავე ვარ, ვადიარებ, მართლაც ვიქურდე.

3(27)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, შენს არყოფნაში ბევრი ვინმე დამიმეგზურდა, სანამ სხეულში ალგორითმებს ეჭვი ოხნებს, წინასწარ გეტყვი მათ სახელებს, თვით ვიონი — წერედიანის თარგმანებით, ფრანგულ ცინიზმით, დიდი და მცირე ბალადები, ყოველ ძილის წინ, როცა სამყაროს ეფინება თვლემის საბანი, ჩემში ცოცხლდება რამდენიმე ანდერძთაგანი, იღვიძებს მთელი ექსპრესიით, სიმძლავრით, ეშხით, ჯერ არ სმენილი, არ ნანახი სარკაზმ-ბურლესკი, ნუ გაიკვირებ, მე ამაღამ ისიც მეყოფა, რომ უშენობა არის თითქმის მთელი ეპოქა, ვინძლო, ფრანსუაც დამცინის და თავსაც ვაბზერებ, წყალს წაუღია სატირა და ყველა სკაბრეზი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, შენს არყოფნაში ბევრი ვინმე დამიმეგზურდა.

4(28)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, რამდენი რამე ვერ ვიხილეთ, სუვა, მელბურნი? მაინც რამდენი ვერ ავციხდა ნატვრა, კაპრიზი, ვერ დაგვატყუე რესტორანში შექმნვარ კარპიზი,

ვერც მოლუსკებთან შეუკვეთეთ ღვინო — ნითელი, ყველა ოცნება ბალახივით გადაითელა, შემდეგ ითოვა და ბალახმაც იბრუნა პირი მიწასთან ანუ დედასთან და ბილიკებს — ირიბს, არც გამკვალავი გაეკარა, არც მანევარი, ოთახს ავსებდა მხოლოდ ტახტი და მაცივარი, ტელევიზორი, ტორშერი და ძველი მაგიდა, ამ ნივთებს მტვერი დაფინყების მიზნით ავკიდე, შედეგმაც აღარ დაახანა, ჰოდა, მოვთანხმდით, წყალს წაუღია, შენ თუ არ ხარ, მთელი ოთახი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, რამდენი რამე ვერ ვიხილეთ, სუვა, მელბურნი?

5(29)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, მეტოქეს უფრო მიენდობი, ვიდრე სეკუნდანტს, შიგნიდან ტყდება ციხისა და სახლის კარები, ვინღა შემოგვრჩა ერთგული და უანგარებო, ვინღა შემოგვრჩა სუფთა გულის, ნაღდი, უხინჯო, ვისაც თვალ-ხელი არ გაუბრის სხვათა ხურჯინზე, ხვავზე, დოვლათზე, ბარაქაზე, კეთილ საქმეზე, ვინც ორ მოჩხუბარს გააშველებს, არ ნააქებებს, ვინც ხელს გაუნჯდის უსახლკაროს, მშვიერს, ულონოს, ვისაც ძალუძს, რომ ერთი სიტყვით გადაუნონოს უცხო კაცსაც კი, უნუგემოს — შიში, ლოდინი, ვინც იმედს ძერწავს არაფრისგან, როგორც როდენი, ვინც აღასრულებს სჯულის კანონს, როგორც მეზვერე, წყალს წაუღია, ვინაც ისმენს, ფარისეველი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, მეტოქეს უფრო მიენდობი, ვიდრე სეკუნდანტს.

6(30)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დროდადრო ვხვდებით, ცხოვრებაა ოდენ წრებრუნვა, დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი, იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვათა რიგი, ჩვენს შორის იდგა კაცი, ვისაც სცნობდა არავინ, ვრცელ მდინარესთან, უცხო ნაპირს, აქ ხომ კარავიც არ დაუღია ნათლისმცემელს, რადგან კითხვებით წარგზავნეს მასთან ჯარი მღვდლების და ლევიტელნი, ბეთაბარამი, გაღმა მხარეს, იორდანესთან, წინამორბედის ხილვა სურდა, უწინარესის, დაინახა და უმაღვე თქვა: „აჰა, ტარიგი ღმრთისა“ და ნაპყენენ მოწაფენი, ხოლო რაბი კი, წარუძღვა იმათ, ვიდრე ღამე გაილეოდა, წყალს წაუღია ქანაანი — გალილეამდე, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დროდადრო ვხვდებით, ცხოვრებაა ოდენ წრებრუნვა.

7(31)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, არ გათამამდე, თუნდაც წამით, ჩამქრალ ვეზუვთან, მე სიზმარიდან გაღვიძების ცნობას მოგიტან, ტურიზმიდან და მილანიდან და ნეაპოლიდან, ჩვენი სიზმრების საიდუმლო, თეთრი ზარდახშა, საგულდაგულოდ გადაამალე, მჭიდროდ დაახშე, დაივიწყე და მოაზომე მტვრისგან სამოსი ხანმოკლე სიზმრებს — უდაბნოდან მოსეს გამოსვლას, ამოღამებულ, ჩაშავებულ, დაღლილ უბეებს, ჩამოურიგე წყვილი ძილი, როგორც კრუპიემ,

სიზმრად ნავები მოაცურე კოჭლი ქარონის, ჩაისვი მხოლოდ ერთგულნი და უანგარონი, ჩაი სვი მწვანე, მე — ჩეფიერი ან მანაგუა, წყალს წაუღია პანამა და ნიკარაგუა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, არ გათამამდე, თუნდაც წამით, ჩამქრალ ვეზუვთან.


8(32)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ნაქცეულ კაცსაც არასოდეს ვუცქერ ზემოდან, დაბადებიდან ინერება ღმერთის კარნახით, ბედი ქართლისა, მეტსაც გეტყვი, ლუკას კარნახის, დახაზული ჩვენი გზების ყველა შესაძლო ტრაექტორია, ჯვარედინი, ჩიხი, სახანძრო, კაფე, კლინიკა, სამორინე, სკვერი, ლომბარდი, სოხუმი, გალი და სანგრები, რასაც ბომბავდნენ, სახლები, ეზო და ხეხილი, რაც იქცა ნაცრად, ყოველი დილის შეღამება, ხისტი და მკაცრი, ყოველი ღამის გათენება, ზეპირი, ცივი, გადაწვეს ციხე, ფაბრიკა და კოპერატივი, ცარიელ კედლებს ქარი ისე ურცხვად უბერავს, წყალს წაუღია ყველა ომი და გზა — ჭუბერის, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ნაქცეულ კაცსაც არასოდეს ვუცქერ ზემოდან.

9(33)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, გამარჯვებაა, თუკი ძალგდის, მტერსაც შეუნდო, თანაბარნილად შეგიყვარდეს, როგორც მოყვასი, უკან მოხედვის არ გრცხვენოდეს, თუნდაც, რომ ხვალ-ზეგ დაგჭირდეს წლების გადახვევა კინოფირივით, სადაც კადრები ერთმანეთში ისე ირევა, როგორც ალდგომის წინისწინა ღამეს ენდროში, სოფლის კვერცხები ანდა ომში, ყველა მედროში, როგორც აპრილის ნახესებზე მზე და მხაპუნა ნვიმა, რომელიც ცისარტყელამ ჩააჩხაკუნა, ნეგატივიდან გაამჟღავნა ფერი — შვიდივე, ზღვა, ზღვის ნაპირზე მიგდებული თეთრი ტივტივა, მოვის პურანგი, ანკესი და მწვანე მათარა, წყალს წაუღია თევზები და ვაგლახ, მათ არა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, გამარჯვებაა, თუკი ძალგდის, მტერსაც შეუნდო.

10(34)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ვერავინ შეძლებს მიერთგულოს, შენებრ მეტრფოდეს, თუმც ეგ ფილა, მოთმინების, ისე აივსო, სულმოკლეობა ენაცვლება სიღარბისლეს, ლოდინი ყველას ეჯავრება, უცვლელად სქესის, ასაკის, მრწამსის, პროფესიის და თითო ლექსით შეგიმსუბუქებ ამგვარ დღეთა აუტანლობას, ჩამავალ მზისგან ააღდება როცა ტანტობი, ვიდრემდის მწუხრი ნაბადივით მოისხამს უკუნს, ვიდრე ბაქანზე გაიგონებ ორთქლმავლის გუგუნს, ვიდრე მიხილავ მონატრებულს, არა ანაზად, ცხადად, აშკარად, ჭეშმარიტად, ყვითელ ბაქანზე, ვიდრე გაკოცებ და გულ-მკერდზე მომხეხუტები, წყალს წაუღია მოლოდინის მდორე წუთები, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ვერავინ შეძლებს მიერთგულოს, შენებრ მეტრფოდეს.

11(35)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ციხეში ერთი ბერიკაცი დამიმეგობრდა, ჩემი ამბავი მოვუყვი, მან კი, თავის მხრივ, გამანდო, რატომ დაიჭირეს, თუ რა განრიგით, მიენყო დღეებს კვირები და კვირებს თვეები, გვერდზე საკანში მარტოობას როგორ შეება, ნიგნების ნაცვლად დაბალ ხმაზე უსმენს რადიოს, თვალთაც დააკლდა, ერთხელ თურმე მიოკარდიუმს სასწაულებრივ გადაურჩა, რა არ მიამბო, დავიზუპირე თითო პწკარი, თითო იამბი, გარეთ არავინ ელოდება საწყალ ბერიკაცს, აღარ ადარდებს მისტიკა და ეზოთერიკა, ნესტი, ბადრაგი, პლანეტებიც ამ სისტემიდან, წყალს წაუღია მისი ნილი მზე და თემიდა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ციხეში ერთი ბერიკაცი დამიმეგობრდა.

12(36)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ქარის ნისქვილებს ხან ვხატავდი, ხანაც ვებრძოდი, მარცხიც ვიგემე, გამარჯვებაც, რას არ გადავრჩი, მე დუღისინას გეძახოდი, შენ კი — ლამანჩელს, გვიან კი მივხვდი, რომ ცხოვრება თეორიათა დიდი ნიგნია, სადაც მთვარემ ველარ ინათა, სადაც ამოსვლას აგვიანებს მზე — ნაზამთრალი, სადაც ცხვრის ტყავში დამალულა მგელი, აფთარიც, აქ, იმედებსაც გაუკეთეს ერთად აბორტი, აქ, სიყვარულზე სიზმარშიაც აღარ აბოდებო, აქ ხომ ოცნების გასხვისებაც არის მოსული, აქ, მწუხრის პირზე სიჩუმეა, არვინ ლოცულობს, წერილთა წერა დავასრულე მესამე წრეზე, წყალს წაუღია ეს საკანი, ციხე და ეზო, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ქარის ნისქვილებს ხან ვხატავდი, ხანაც ვებრძოდი.



ბერტრუდას პასუხები

წრა მისამე

1(25)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, გათეთრიშავდა სამყარო და მთელი ორბიტა, ფანჯრის რაფასთან ძველებურად ბილიკს გავყურებ, დრო — მოლოდინის ყურმოჭრილი მოსამსახურე, ჩვეულად მიდის, ნაბიჯები იცის ზეპირად, წვიმს და ღრუბელთა უძრაობის რუხი ზეფირი სქელდება, როგორც ფქვილჩაყრილი, ტკბილი ბადაგი, მეც, რა ხანია, შენზე ფიქრი მოვაქანდაკე, მოვაჩუქურთმე, გამოვძერწე, სახე მივეცი, განა რას მიშლის სიშავეთერე, ფერთა სიბეცე, განა რას დაედევ ამგვარ დღეთა უკუღმართობას, შენს მოლოდინში მერამდენედ უნდა გათოვდეს, მგონია, აქ ხარ, როცა ჩემს თავს ვესაუბრები, წყალს ნაუღია თოვლიცა და რუხი ღრუბლებიც, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, გათეთრიშავდა სამყარო და მთელი ორბიტა.

2(26)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად უნდა მოგიტხრო, როგორი იყო შენამდე და როგორ იცვალა ფერი, როდესაც შენ გამოჩნდი, მე კი ვისწავლე ავის და კარგის გამორჩევა, ფიქრის მოთოკვა, სიტყვების ფასი, მნიშვნელობა, ვისთან როგორ ვთქვა, ანდა პირიქით, ვისთან არ ვთქვა, მეტად ვისმინო, ხელუხლებია ღვინის ბოთლი, გახსოვს Vismio? ორი დღით ადრე მოიტანე, ოთხშაბათს, 6 მარტს, თუმცა ამ ღვინით ვისურვებდი, სხვა რამე შეეცავათ, გადაიყაროს ჩვენი ციდან რუხი ღრუბლები, და ვადღეგრძელოთ მონატრება, თავისუფლება, გამარჯვება ვთქვათ სიყვარულის, იქვე, სიკეთის, წყალს ნაუღია დღე, როდესაც გამოიკეტე! ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად უნდა მოგიტხრო.

3(27)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ვგრძნობ, ჩემი სული დაიღალა ამდენ ბორბვითო, დღეებიც ისე მოწყენით და მდორედ აენწყო, მსურს, სიზმარივით გავაყოლო გამდინარე წყალს, ონკანი ორჯერ გამოვცვალე, რაც შენ ნახვედი, არ იფიქრო, რომ ასეთ წვრილმან რამეს გაყვედრებ, მთელ სახლს მოაკლდა შენი ხელი, ონკანს ვინ ჩივის, როგორ არ მოვკვდე უშენობით, რამე მირჩიე, თვალებს რომ ხუჭავ, ამ სიშორეს მართლა ამცირებ? ბრმად მოგენდობი, შემასწავლე, გთხოვ, ნუ დამცინი, თვალებს რომ ხუჭავ, ჩემს სილუეტს მართლა ნახულა? წმინდანი არ ვარ, უშენობა რომ ვიმარხულო, გნატრობ შორიდან, შენც ლოდინით ნულარ მომკალი, წყალს ნაუღია გამოცვლილი ყველა ონკანი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ვგრძნობ, ჩემი სული დაიღალა ამდენ ბორბვითო.

4(28)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მე შევიძულე უშენობის მთელი ქრონიკა, დილა, შუადღე, მწუხრი, ღამე, კედლის საათი, საძინებლიდან სასტუმროში მარტო ტაატი,

საუზმედ — ყავა, ძილისწინაც ერთი ფინჯანი, რამდენს გავუძლო, კიდევ ბევრი უნდა ვიჯავრო? თითქოს წყნარად ვარ, ხან უმიზნოდ უნდა აველდე, კიდევ ერთ ფურცელს ჩამოვაცლი კედლის კალენდარს, ზედ რამე კერძის ბანალური ახლავს რეცეპტი, სჯობს, ამ ფურცლებზე შენი ნახვის თარიღს ვეძებდე, დღე, როცა შენით უშენობას უწევს გარიყვა, როცა ცივ დილას ენაცვლება მწუხრის ხავერდი, წყალს ნაუღია თარიღები — კედლის კალენდრის, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მე შევიძულე უშენობის მთელი ქრონიკა.

5(29)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ადრე თუ გვიან, სიტყვა-სიტყვით შევძლებ მოგიყვე, რომ უშენობის მთელი სივრცე და პოლიგონი, დანალმულია იმ კადრებად, რასაც ვიგონებ, მსურს, უფრო მძაფრად განვიცადო შენთან კავშირი, ხანდახან დღეებს მოვაშორო შავი არშია, ვზივარ და ძველი წარმართული წესის თანახმად, სარკიდან ვცდილობ ჩემს თვალეში შენის დანახვას, სავეს მთვარობის ღამე არის, უკვე მესამე, „ვით შემოდგომის ღამეებში თეთრმა ვერსალმა“, მეც მოვიწყინე, მომაკითხა ცივმა ზამთარმა, შავად ნაწერი წერილების გროვა დავთარში გადაამაქეს თეთრად, რადგან ძველში აღარ ეტევა, წყალს ნაუღია უშენობის ტრიოლეტები, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ადრე თუ გვიან, ყველაფერი უნდა მოგიყვე.

6(30)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ნეტავ როგორ ვძლებ უშენოდ და უპარმონიკოდ? მახსოვს, ნოტები — ღვთაებრივი, ტურჩე მიღებით რომ გამოსცემდი ძილისპირზე, ახლაც ბინდდება და მენატრება მელოდია შენი ტურჩების, რა ეშველება ამ ჩემს ტკივილს, გაუყურებელს? მახსოვს ბავშვური გამოხედვა, თვალის დახრა, ამ ტურჩის გარმონს უამრავი ამბავი ახლავს და ჩვენი კონცა მელოდია იყო ერთგვარი, ხანაც მსუბუქი, ხანაც მღეგი, დაუდეგარი, კარგა ხანია, რომ უშენოდ ფრთები მოვკეცე, შემძულდა ჩუმი სიმფონია და ეს ორკესტრი, რომელიც უკრავს უშენობას ყოველი ღამით, წყალს ნაუღია ყველა ნოტი, აკორდი, ჩქამი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ნეტავ როგორ ვძლებ უშენოდ და უპარმონიკოდ?

7(31)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, უშენობასთან ერთხელ მაინც, როგორ მოვრიგდე? სასაცილოა, გამიმძაფრდა გემო და ყნოსვა, დღეში ათასჯერ მახსენდება, „რაც უფრო შორს ხარ“ ... განა სიშორე უფრო ატკობს? ვაგლახ, არ მჯერა, მე სიახლოვეს ვამჯობინებ, რადგან ამჯერად, მინდა, კეფასთან ჩურჩულებდე, თუნდაც გაცვეთილ სიტყვებს, ეს კადრი, როგორც ფილმის რამე ნაწყვეტი, გავიმეორეთ უსასრულოდ, ვიდრე ერთხელაც რეჟისორს დუბლის გადაღების აღარ შერცხვება,

ჩახლეჩილი ხმით სანამ იტყვის: „გვაქვს“ და „დემონტაჟს“ სანამ სცენარში შენი წასვლის ნუთი შემოდგა, მეც ამ კადრიდან ვარ მარტო და მოუსვენარი, წყალს ნაუღია რეჟისორი, სცენა, სცენარიც, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, უშენობასთან ერთხელ მაინც, როგორ მოვრიგდე?

8(32)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, სულ ერთი წამით, ისე მინდა, გულზე მოგიკრა, გაიგო, ჩემი გულისცემა როგორ ხშირდება, ნეტავ შემძლოს ამგვარ დღეთა დანახვირება, ვიდრემდის ნახშირს ჩაანაცვლებს ფერფლი, ნაცარი, ვიდრე მაქვს ღონე, გავაჩინო ერთი ხანძარიც, ვიდრე მაქვს ძალა, გაყინული გული გავაგლო, ვიდრე ამ დუმილს ერთადერთი სიტყვით დავარღვევ, ვიდრე ღამეებს ვემალები, როგორც მევალებს, ვიდრე სიზმრებსაც აუხსნელად გადავემალებ, ვიდრე სარკესაც მხოლოდ ჩემი უწევს არეკლება, ვიდრე ამ სიზმრებს მოუყვები გამდინარე წყალს, ვიდრე დღეები ღამეების საშობად წავლენ, წყალს ნაუღია ამ დღეების რიგი და ავლი. ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, სულ ერთი წამით, ისე მინდა, გულზე მოგიკრა.

9(33)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მსურს, სასთუმალი გვირილების კონით მომირთო, ვის რას ვუმალავ, უშენობა ისე მეძნელა, არ ვდარდობ, თმაში რომ მიწნავდი უწინ ენძელებს, აღარც ცარიელ ლარნაკს ვჩივი, დამჭანარ ყვავილებს, ან უშენობას რა ეშმაკი გამიადვილებს, ან ეს ტიტები რას მიშველის, ეს გერბერები, განა შენს ნაცვლად, რომელ ყვავილს მოვეფერები, ან ეს ძახველი რას მიწამლებს, ან ეს ალოე, რა ჩაანაცვლებს შენთან ყოფნის სიუბრალოეს, რამ გადანონოს შენთან ყოფნის ბედნიერება, ყურთან ჩურჩული, მერე კოცნა და მოფერება? მორჩა! დავმარცხდი! გეფიცები, ველარ ვიომებ, წყალს ნაუღია „იმ დღეების ჰერბარიუმში“ ... ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მსურს, სასთუმალი გვირილების კონით მომირთო.

10(34)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მაინც როგორი ამაყი ვარ, რარიგ უდრეკი, შენს მონატრებას ვუფრთხილდები — ფოტოფირივით, განა ვინმესთან გავამუღავნებ, რასაც მივტირი? აზრი არა აქვს, დამიჯერე, გულის ჩვენებას მეგობრისთვისაც, ვინძლო შევბა და მოსვენებაც დუმილი იყოს, ერთობ მწარე, მკაცრი დუმილი, შენს ზარს უცდიდეს ყველა ნივთი: უთო, ლუშელი, სკამი, მაგიდა, აქანდაზი, ცოცხი, ტილოც კი, მტვერი მოედო გიტარასაც, ახლა ვისოცკის რამე სიმღერას მოვისმენდი, **Эх раз, еше раз**, იქნება ნუთით გავეცალო მთელ ამ სიშორეს, როგორც პოლიგონს, უშენობის სივრცეს — დანალმულს, წყალს ნაუღია ეს გიტარა და ეს საღამოც, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მაინც როგორი ამაყი ვარ, რარიგ უდრეკი.

11(35)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მთელი ცხოვრება ბრძოლა და უნდა მოიგო, შენივე თავის შეცნობაა ოდენ მთავარი, მერნმუნე, მასზე დიდი მტერი ქვეყნად არავინ გყოლია, გყავს და მომავალშიც არ გეყოლება, ახსნადაც არ ღირს, ათასგვარი პარაბოლებით, გამოცანებით, ლეგენდებით, იგავ-არაკით, გთხოვ, დამიჯერე, ნუ მოვცდებით, სალაპარაკოდ, სჯობს, მონატრება გაგიმილო, თუნდაც მეასედ, მჯერა, სულ მალე დასრულდება ჯერ პასენსი, ბანქოს გაშლა და მკითხაობა მერე ტაროზე, რა გველოდება, როგორია ხვალის ტაროსი, იქნებ ღრუბელიც წვიმისაგან ისე გაივსო, წყალს ნაუღია ეს მაისი და მზეც, გაისად, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მთელი ცხოვრება ბრძოლა და უნდა მოიგო.

12(36)
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მეც დავასრულე წერილები, უკვე დრო იყო, ხვალ დღით ისევე მივაკითხავ ფოსტის შენობას, რომ გამოვგზავნო, მაგრამ დღეებს — უშენობის, ვერაფერს ვუზამ, მომინებებს ადრე ან გვიან, წარმოვიდგინე, დღით ეზოს თუ როგორ ჰგვიან მეუბოვენი, როგორ ყევენ ირგვლივ ძაღლები, ფოთლებთან როგორ თამაშობენ, მერე სახლების მწკრივი ლაგდება, ბალახს მოსავს დილის ცვარ-ნამი, წერილთა გარდა, შემოვგზავნო მინდა „შაჰნამე“, რომელსაც გუშინ გადავანყდი ერთ ბუკინისტთან და ბოლო გვერდზე მინანქრის გამო ვიყიდე: „ოლონდ დაბრუნდე, არ ვიჯავრებ, ას წელს დაგიცდი, წყალს ნაუღია, ყველა ნივთი, რაც მანდ გაცივდა“, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მეც დავასრულე წერილები, უკვე დრო იყო.

უბოდიშებს) და გოგი. მარგო, მინაზე დაეშვი და აიღე, რასაც გაძღვენი, თორემ იცოდე, მე და შორენა შენთან მოვალთ და...

მარგო: გოგის ავანსის თანხა 20000 ლარი გადახდილი ჰქონდა. 30000 დარჩა კიდევ მოსაცემი. ავანსის თანხა დამხარჯა და ახლა ისევ 50000 მჭირდება, კანადაში რომ წავიდე. ამ თანხად იქ საბუთებსაც მიკეთებენ და სამსახურსაც. მოკლედ, ახალ ცხოვრებას ვინყებ. ეგ სირები თუ უარზე არ იქნებიან, მე რომ ბავშვს გავაჩენ, შენ მომცემ 50000 ლარს და სამუდამოდ გავქრები. შენ გეყოლება შვილი, მე კი მექნება მომავალი... ოღონდ, მაგ სირებს ფულს აღარ გადავუხდი.

ნატა: ვიხდი, როგორც კი გააჩენ და ბავშვს მომიყვან, ეგრევე გაძღვე 50000 ლარს. სირებს (ისევე ილიძის და უბოდიშებს) ჩემს თავზე ვიღებ.

მარგო: მოსულა... თვის ბოლოს ვმშობიარობ. ისე, რომ იცოდე, გოგო გყავთ...

ნატა სახეზე ხელებს იფარებს და ჩუმად ტირის. ტირის თებროც. ტირიან იურისტებიც. შორენა არ ტირის, ითმენს. გოგის ხელები ტაშს უკრავს.

მიპატი: დედას გეფიცები, მე თუ ასეთი ამბავი სადმე გამეგოს. ნატა მამიდა, მიყვარხარ...

საუბრად აპარსული: ქალბატონო ნატა, იმედია, არ გვინყენთ, რაც იყო და როგორც... ანი თქვენს მეგობრად გვიგულეთ. ნაირბენი სახე: ჩემი დედა მოგტყვან, ბავშვობის მერე არ მიტირია...

მიპატი: გოგი მომილოცავს, გაგამართლას... შენ ცხოვრებას აგრძელებ...

მიპატი: და წესის აგება?

ნატას თან ცრემლები სდის და თან იციანის. ტელეფონს იღებს და დოდოშკასთან რეკავს.

ნატა: დოდოშკა... დოდოშკა...

ბადაპრანჭული ბებო: ნატა, მომიკვდა თავი, ვერ მოვედი დაკრძალვაზე, დიდი ბოდიში. გოგო, სიცხე მომცა, კოვიდზე ტესტი გავიკეთე და ახლა პასუხს ველი. თუ რამეა, ხომ იცი, როგორც უნდა მოიტკეპო არავითარ შემთხვევაში არ მმარხავთ პომადისა და საცვლების გარეშე, გესმის?

ნატა: დოდოშკა... გოგო მყავს... გოგოს ველოდებით და... და... გოგი მოკლეს, კაიფში არ გაპარულა...

ბადაპრანჭული ბებო: რააა??? რა გოგოს ელოდებით?

ნატა: აუ, დაივიდე... მაგას მერე მოგიყვები. ახლა სხვა რამეა მთავარი. გოგი მოკლეს... გესმის? გოგი მოკლეს და გამოდის, რომ მას თავი არ მოუკლავს. გამოძიებამ დაადგინა და აღარაა საჭირო ნათელმხილველობა... დოდოშკა... გვიშველე... დაურეკე იმ შენს პუროკო მამას და უთხარი, წესი აუგოს, თორემ უკვე სადაცაა, დავმარხავთ... დოდოშკა...

ბადაპრანჭული ბებო: მოკლეს? ჩემი გრიგოლიკო მოკლეს?

მიპატი: ჰოოო, ჰოოო... გოგი მოკლეს და კაიფში არ გაპარულა. დროზე თუ წესს არ აუგებენ, ანი დაკრძალავენ... მეტი მაგის ასე გაჩერება აღარ შეიძლება.

ბადაპრანჭული ბებო: გასაგებია... არ დამარხობ, ხუთ წუთში დაგირეკავთ.

ყველანი ადგილზე ქვავდებიან. ნატა ისევე ტირის. იურისტები ერთმანეთს ეხუტებიან. შორენა ცდილობს, თებროს ხელი მოხვიოს და ის კი გაუბრძის. ბნელდება და ჩანს მხოლოდ საფლავიდან ამოყოფილი გოგის ხელები.

ბებო: გაიგე, ტურფავ, მალე მამა გავხდები. სიცოცხლეს პატარა გოგოში ვაგრძელებ... ჰოდა, შენი მგზავრიც არ ვყოფილვარ. თურმე მომკლეს...

ბადაპრანჭული ბებო: გილოცავ... ჩემს „პასაჟირობაზე“ კიდევ ნაადრევად გიხარია. აი, შეგაგადებენ სასწორზე, ანონიან შენ ცოდვა-მადლს და მერე გამოჩნდება ვისი „პასაჟირიცა“ ხარ.

ბადაპრანჭული ბებო: გოგი, კიდევ ერთხელ გილოცავ. ეს მართლაც რომ დიდი სიხარულია... მამობა სახუმარო ამბავი არ გეგონოს. ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. ამ ამბავს მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდო და სანიმუშო მამა გახდე.

ბებო: მაიცა, ეხე იგი, გამაცოცხლებ და მეორე შანსს მომცემ?

ბადაპრანჭული ბებო: აუ, მგონი, ცოტა ზედმეტი მომივიდა და გადავაჭარბე... არა, ვერ გაგაცოცხლებ, თუმცა ვეცდები, სამსჯავროზე სიტყვა შეგანთ.

ბადაპრანჭული ბებო: მეც ვეცდები, გოგი... ძალიან ვეცდები...

ბებო: ტურფავ, მომენატრები... ხმა ძველიკნილიდან: ნადი, შენი... ხმა ზეციურიდან: ოჰ, ეს ქალები... რეკავს დოდოშკა. ყველანი ქვავდებიან. ნატა ტელეფონს ხელისგულზე იღებს და პასუხობს.

ბადაპრანჭული ბებო: ნატა, შენ ინტერნეტი გააქვს?

ნატა: ტელეფონში?

ბადაპრანჭული ბებო: ჰო, აბა, სახლში?

ნატა: კი... და რა?

ბადაპრანჭული ბებო: ახლა შენ ილუმენი პროკოფი ვიდუოზარით დაგირეკავს და შენ პასუხი გავცი. კარგი?

ნატა: კარგი... და მერე?

ბადაპრანჭული ბებო: მერე დაჯექი და კერე... წესს აუგებს ონლაინ... შენ რასაც გეტყვიან, ის გააკეთე და დანარჩენი იმან იცის. ტელეფონი ხმამალაზე გქონდეს ჩართული. გასაგებია?

ნატა: გასაგებია...

ბადაპრანჭული ბებო: აბა, წავედი ახლა მე და თუ რამეა, პომადი და საცვლები არ დაგაგინყდეთ. გკოცნით...

ნატა მობილურს თიშავს და შეკრებილთ გაოცებული სახით მიშტერება. ყველანი სინქრონულად მხრებს იჩეჩვენ. ამ დროს ისევ რეკავს ტელეფონი. ვიდუოზარია. რეკავს პარტკომი.

პარტკომი: გამარჯობა. დავითი ვარ. ნატა: ვინ დავითი? ვალერი?

პარტკომი: კი ვალერი-დავითი ვარ. უფრო სწორედ, ახლა დავითი გავხდი.

ნატა: დავითი?

პარტკომი: ჰო, წინასწარმეტყველ დავითის საპატივცემულოდ. სანთლები გააქვთ?

მიპატი: კი, აგერა მაქვს. ოცი ცალი ხომ გვეყოფა?

პარტკომი: გვეყოფა. მაშინ დავინყოთ. ახლა ზუმის ლინკს გამოგიგზავნი და იქ შემიდი.

ნატა: ზუმის ლინკს რატომ?

პარტკომი: ღია გაკვეთილი გვაქვს და საკონტროლო უნდა განერინოთ... გამაგაჩნებთ, რა... ხომ გინდათ, რომ გოგის წესი აუგოთ? ჰოდა, გააკეთეთ, რასაც გეუბნებით და უახლო კითხვებსაც ნუღარ მისვამთ. ჩვენ მოწინასწარიან ჩაგერთვებით და წესსაც ონლაინ აუგებენ. ისე, რომ იცოდეთ, ეს გამოწვევისა და პროკოპის ლიცენზია-კუთხეებით ხდება. ასეთი რამ ჯერ არასდროს მომხდარა. მაღლობს მერე მოუხდით... აბა, ნახეთ, ლინკი მიიღეთ?

ნატა: კი მივიღე და პაროლი რაა?

პარტკომი: ძალიან კარგი... ახლა მისმინეთ. როცა განიშნებთ, სანთლები დაანთეთ და ჩვენც დავინყებთ. ჰო, და კიდევ ერთი... ახლა აქ, ზუმში, ისეთი ხალხი ჩავერთვება, რომ ძალიან მნიშვნელოვანი... ეს ყველაფერი შეიძლება, ცოტა უჩვეულოდაც მოგეჩვენოთ, თუმცა, არაფერი შეიმჩნით და არც გაიკვირვოთ. უბრალოდ უსმინეთ და ჩუმად იყავით... დანარჩენს მერე აგიხსნით.

ნატა: და პაროლი რა არის-მეთქი?

პარტკომი: ჰო, პაროლი არის, ლათინური ასოებით — ალექსანდრა.

ნატა: რაა? და რატომ ალექსანდრა?

პარტკომი: ნაროდგენა არა მაქვს.

მიპატი: ისა და მარტო მე მეჩვენება თუ პროკოპიმ მართლა წინასწარვე იცოდა, რომ გოგი ნარკოტიკებისგან იყო გარდაცვლილი, მარგოს სწორედ 50000 ლარი დასჭირდებოდა და ბავშვი კი გოგო იქნებოდა?

პარტკომი: შენ გეჩვენება... აბა, დავიცეით.

ნატა გადადის ზუმის ლინკზე და პაროლი შეყავს. ყველანი სანთლებს ანთებენ, სტენისკენ ზურგით და საფლაგისკენ კი პირით დგებიან. წესის აგების რიტუალი იწყება და ისმის საცეცხლურის ხმა. საფლაგზე ჩნდება სქელი კვამლი და დგება საკმეველის მოტკობი სურნელი.

ხმა ზეციურიდან: ყოველი მხედვეთ მე წინაშე თქვენსა უხმოდ, და უსულოდ მდებარესა. ჰსტიროდეთ ჩემთვის, ძმანო და მეგობარნო, მოყუანსო და მეცნიერნო, რამეთუ გუშინ თქვენ თანა მზრახულებიყავ, და მეყვესულოდ მოინია ჩემ ზედა ფამი სიკუდილისა...

ხმა ძველიკნილიდან: ამინ... ამინ... ამინ...

სტენა ნათდება და პროფეტორი მაცურებელს თვალს სჭრის. ეშვება ფარდა.



ლევან ლორია

რისი თქმაც პერ მოვასწარი

დასასრული

— რო დადამდება, გზას ნუღარ გააგრძელებთ, ვინმე ხრამში არ გადაიჩეხოს, სადმე ხის ძირას კოცონიც დაანთეთ, ვინმე არ გაიყინოს, ოღონდ სიფრთხილედ დაიცავით, ტყვეს ცეცხლი არ წაუკიდოს, — თქვა იმ სამხედრომ, რომელმაც ქურთუკი დაუტოვა გურამს და ისევ გააგრძელეს გზა.

ცოტა ხანში წვიმის წვეთები თოვლის ფიფქებად იქცნენ. სოფელში ზამთარშიც კი იშვიათად მოდიოდა თოვლი. ახლა ჯერ სექტემბერი იყო და ყველას უკვირდა და ნუხდა, რა დროს თოვლია, გავიყინებითო. ამიტომ ახლა უკვე ისე აღარ მიხაროდა, როგორც დედამ თქვა, უდროო დროს მოსული თოვლი. მერე ჩამოხდა და ჩვენი ჯგუფი ერთი დიდი ხის ძირას გაეჩრდილ. გურამმა იქვე გზის ახლოს ხმელი ტოტების მოგროვება დაიწყო. მე ლომა დედას დავუტოვე — გურამს მივეხმარები-მეთქი. ორივენი ტოტებს ვაგროვებთ, თან ვეკითხები:

— გურამ, ექსცესი რა არის?!

— ექსცესი არანორმალური ვითარებაა, ან შემთხვევა... ჩხუბი, შეხლა-შემოხლაც შეიძლება, ექსცესად ჩაეთვალოთ! — მპასუხობს ის.

მერე ცეცხლი დავანთეთ. გურამსა და დედაჩემს შორის ვიჯექი და ცეცხლს ვუყურებდი. ლომაც ჩემ წინ იჯდა და ისიც ცეცხლს უყურებდა და თებობდა. მირანდა და დედამისიც ჩვენთან ერთად უხსდნენ ცეცხლს. გურამმა რვეული ამოიღო და შეეცადა, ცეცხლის შუქზე წაეკრათ ნაწერი. მზერაზე შეეტყუა, რომ მოეწონა, რასაც კითხულობდა. მეც დამაინტერესა, რას კითხულობდა და გურამს ვთხოვე, ხმამალა წაიკითხე-მეთქი. გურამმა მირანდას ჰკითხა, რა კარგი ლექსებია, შეიძლება, ერთი ხმამალა წაეკითხოთ? კი, რა თქმა უნდაო, იმან უთხრა. გურამმაც წაიკითხა:

„*ლურჯთვალა იამ მზეს გაუღიმა, მზემაც ცვარ-წამით დაჰბანა პირი. ჩამოუშვია წამწამი ტირიფს და გაუშხელელ სიყვარულს ტირის*“.

ლექსმა აძრა გამახსენა, თუმცა არც დამვიწყებია, მაგრამ ახლა უფრო გამახსენა. მე ვიცი, რომ აძრა აფხაზურად მზეს ნიშნავს. ჩემი სიყვარულიც ხო გაუშხელელია, ვერ მოვასწარი, ამრასთვის მეთქვა, რომ ძალიან მიყვარს. როგორ მომენატრა. თან ვდარდობ: აუცილებლად შორს უნდა ვყოფილიყავი, რომ მივხვედრილიყავი, რა ახლობელია ჩემთვის? მერე ჩამეძინა. დი-

ლით ხაჯარატ მალვიძებს, ადექი, გადამითელიები ჩვენ სოფელს თავს დაესხნენ, ამრას მოტაცებას აპირებენო. მიკვირს, ხაჯარატ, აქ საიდან გაჩნდა? გურამს ვეძახი, სად ხარ, ექსცესს აქვს ადგილი-მეთქი. არც ის ჩანს. მერე ავტომატს დაუწუნე ძებნა — არსად არის. დედაც არსად ჩანს, არც ლომა. ხაჯარატის სადღაც გაქრა. სულ მარტო დავრჩი, ჩემი სოფლისკენ მივრბივარ. გზაზე ვეცემი, ვდგები და ისევ მივრბივარ, მაგრამ თითქოს მაინც ერთსა და იმავე ადგილას ვარ. ექვე ტყიდან, ვხედავ, მამა გამოდის და ხელში აყვავარ, უნდა, რომ ჩამეხუტოს. მამა, დამსვი — ვეუბნები — ამრა უნდა გადავარჩინო. ტყვეს, საიდანაც მამა გამოვიდა, უცებ ცეცხლი უჩნდება. მამა მინაზე მსვამს და ტყისკენ გარბის, ალბათ ხანძარი რომ ჩააქროს. უკან მივსდევ, თან ისევ ვიძახი: გურამ, ხაჯარატ... სად ხართ? მამაც დავუკარგე, არავინ ჩანს... გზა კი არა და არ დღევა. მერე ერთ ადგილას ფეხი დამიძვდა და ხრამში ვვარდები. უცებ დედა გამოჩნდა:

— გიორგი, ძილში ყვიროდი!

— დედა, ექსცესს აქვს ადგილი!

— რა, შვილო? — მეუბნება დედა და შუბლზე ხელს მაღებს.

— დედა, ხაჯარატმა მითხრა, რომ ამრას მოტაცებას აპირებენ და უნდა წავიდე, ვუშველო!

— სიზმარი იყო, გიორგი!

— დედა, ამრას ვერავინ მომტაცებს!

— ჰო, კარგი, დამშვიდდი. ამრას ვერავინ მოტაცებს!

მერედა ვხვდები, რომ ვილაყის სახლში ვარ და სანთლები ვწვავარ და თურმე ეს სიზმარში იყო. დედა, სად ვართ-მეთქი.

— ჯვარში ვართ, კოტე ბიძისთან! ორი დღე მალალი სიცხე გქონდა და მამამ და გურამმა სულ ხელი გატარეს.

— მამა სად არის?

— იმ ღამით დავგენია, ხის ძირას რომ ცეცხლთან ვისხედი. შენ გეძინა და არ გაგაღვიძე. დილით მალალი სიცხე გქონდა, აქ რომ მოგვიყვანა, მამაშენი უკან გებრუნდა, დედას ასე ვერ დავტოვებო. დაიბარა, რომ აუცილებლად დაბრუნდება და ჩვენც თან წავიყვანს!

— გურამი სად არის?

— გურამიც მამაშენს გაჰყვა!

— ლომა სად არის?

— ეზოში დარბობ!

მართლაც ეზოდან ლომას ლექვეური ყეფის ხმა მოისმოდა. მერე ისევ ჩამეძინა...

მწერალი

გიორგი ცოცანიძე

მწერალს, ენათმეცნიერს, ეთნოგრაფსა და ლექსიკოგრაფს, გიორგი ცოცანიძეს, წელს მწველი უსრულდება. შეუძლებელი და წარმოუდგენელიც კია, შენს თანადროულობაში გვევლებოდეს ბატონი გიორგი — „ჩუმი მოსაგრე“ — უზომოდ მოკრძალებული მოღვაწე და სინდისმა და ცნობისწადილმა არ ავძრას მასთან სასაუბროდ. ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ეს ინტერვიუ ღირსების ინტერვიუა, ამის შესახებ რესპონდენტსაც კი გამოვუტყდი. ჩემი ღირსება რომ დაეცვა და არ გავენილებინე, ბატონი გიორგი სასაუბროდ დამთანხმდა. ამ დროს პანდემიამ მოგვისწრო და ოჯახში მისვლას მოვერიდე; ნება დამართო, კითხვები გამეგზავნა.

ერთ დღიას ბატონი გიორგი შემეხმინა და ჩვეული სიღინჯით მითხრა: — გავეცი პასუხები შენს კითხვებს, ოღონდ, მოკლედ, გრძელ პასუხებს გრძელი ჭკუა უნდა... — როგორ შენუხდით, როგორ მინდოდა, უშუალოდ გვესაუბრა... — არა, არა, კარგი იყო, კარგი — გადავხედე ჩემს ცხოვრებას, ცოდვები მოვიწინა, სიკეთით თუ რამ გამიკეთებია, გავიხარე... თან ხელნაწერიც დავრჩება ჩემს მოსაგონებლად, მე რომ აღარ ვიქნები... — როდის გენვიოთ, ბატონო გიორგი? ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ... — ამ წუთიდან ნებისმიერ დროს, მე ცხვარი არ გამეშლება და როცა გინდა, მაშინ მოდი...

— სად და როგორ გაიარა თქვენმა ბავშვობამ?

— მე ვარ გომეწრის ხეობის სოფელ ბუხურთიდან. ჩემი ბავშვობა ჰგავდა ყველა თუშის ბავშვობას. თუშები მომთაბარე ხალხი იყო — ზამთარი ბარში, კახეთის სოფელ ალვანში, ზაფხული — მთაში. თუშები ცხოვრობდნენ საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ორგანზინადარი ცხოვრებით: მთაში იც და ბარშიც ჰქონდათ კარგად გამართული სამეურნეო კარ-მიდამო და მინის მცირე ნაკვეთები. მთის მოსავალი ზაფხულში კვებავდა ოჯახს, ბარისა — ზამთარში. ამ ორგანზინადარ ცხოვრებას თუშები „კახეთ-თუშეთობას“ ეძახდნენ. კახეთ-თუშეთობის წესით ცხოვრობდა მთელი თუშეთი მე-20 საუკუნის 50-იანი წლების შუახანებამდის, სანამ მათ მთავრობის დირექტივებმა არ აუკრძალა ეს ორგანზინადრობა. თუშეთი გამოცხადდა კახეთის ზონის მესაქონლეთა საზაფხულო საძოვრებად, ტერიტორია განაწილდა მესაქონლეთა ფერმებზე. მინათმომწყობთა რუკებზე მოიშალა სოფლის სახელები და მათ ადგილას გაჩნდა საძოვარი ტერიტორიების ნომრები. მესაქონლეთა ფერმებს ადგილები ამ ნომრების მიხედვით დაურთდა. ეს უგრძესად სასაუბრო თემაა. მოკლედ: ჩემმა ბავშვობამ გაიარა თუშეთსა და კახეთში, თუშური ცხოვრების წესით — ეგრეთ ნოდებულ კახეთ-თუშეთობით.

— თუშებისათვის ჩვეული თიკუნის თქვენც გქონდათ ბავშვობისას?

— ჩემი თიკუნის, „ყოჯა“, ჩემი დაბადების ადგილთან, „ყოჯას გზასთანაა“ დაკავშირებული. ჩემი სოფლის რძლები, ვინც თვლიდა, რომ ჩემთვის პატივისცემის ნიშნად სახელით არ უნდა მოემართა, ესე იგი, „სახელი უნდა დაემალა“, ბოლო დრომდის ამ თიკუნით მომმართავდნენ. ბავშვობაში ჩემი თანატოლებიც ამ თიკუნით მიხსენიებდნენ. ნამდვილი სახელით მომართვა მხოლოდ მოზრდილობაში დაიწყო, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ მოზრდილი ყმაწვილისა და კაცისათვის თიკუნით მიმართვა არაეთიკური ფაშილარობაა.

— ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ლექსიკოგრაფია, მწერლობა — ამდენ ასპარეზს ასე ჩუმად, უხმაუროდ და პროფესიულად როგორ ართმევთ

თავს, რა საიდუმლო გაქვთ — დროს როგორ ჯობნით — ხერხით, ღონითა თუ გონით?

— ჩამოთვლილი სფეროებიდან რიგისანი ჰუმანიტარი ყველაში უნდა ერკვეოდეს სათანადო დონეზე. ამათგან მხოლოდ ლექსიკოგრაფიაა ისეთი, რომელიც მკაცრად ჩამოყალიბებული პრინციპების სათანადო დონეზე დაცვას მოითხოვს, რათა ერთმანეთში არ აურიოს გრამატიკა და ლექსიკა. მე (და არა მარტო მე) მიმაჩნია, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში ეს მხარე უღმერთოდაა არეული. ამას აკაკი შანიძეც არაერთგზის საყვედურობდა ამ გამოცემის მთავარ რედაქციას. ამით იყო გამოწვეული, რომ ეს დიდი ლინგვისტი განზე გადავა ამ სამუშაოსაგან. რვატომეულის გამოცემით უდავოდ დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ იგი უფრო დიდი იქნებოდა, რომ არ გადაეხვია იმ გზიდან, რასაც მიჰყვებოდა ქართული ლექსიკოგრაფია სულხან-საბადან მოკიდებული ამ გამოცემამდე. ლექსიკოგრაფია დიდმა ნაწილმა ძველი გზა გააგრძელა (მათ შორის, მეც). რვატომეულის პრინციპს მხოლოდ ისინი გაჰყვნენ, ვისზედაც მძლავრად მოქმედებდა არნოლდ ჩიქობავას ქარიზმა. სადღეისოდ, ხსენებული ქარიზმა ნელ-ნელა ძალას ჰკარგავს და ქართული ლექსიკოგრაფია უბრუნდება თავის ძველ და სწორ ხაზს.



ტრადიცია სიცოცხლის ხეა

— ბატონო გიორგი, ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდზე ვისაუბროთ, კერძოდ, 1979 წელს დაწყებულ ფოლკლორულ საღამოებზე — „ლექსო, არ დაიკარგები“... როგორც თქვენი, თქვენს მეგობრებთან ერთად, თქვენც ბრძანდებოდით იდეის ერთ-ერთი ავტორი და დამფუძნებელი იმ საარაკო ღონისძიებებისა, რომლებიც დიდ დღესასწაულად და ერთგვარ შევად იქცა იმ წლებში. ფაქტობრივად, თითქმის თავიდან აღმოაჩინა და გაიცნო ქართველმა ხალხმა თავისი ქვეყნის მთა თუ ბარი და მისი უნიკალური წარმომადგენლები, როგორ დაიწყო ყველაფერი და რა მისია ჰქონდა თქვენს მაშინდელ განზრახვას?

— ფოლკლორული საღამოების ამტეხი და წამოწყების ინიციატორი მხატვარი თეგვიზ მირზაშვილი იყო. იდეა კი ფშაური კაფიაობის, როგორც ლექსად პაექრობის ძველთაძველი მოვლენის, გაცოცხლებას და გასახალხოებას ისახავდა მიზნად. ეს ხომ ქართული ნადიმების თანმხლები მოვლენა იყო, რომელსაც მაშინ „ზმებს“ ეძახდნენ (გავიხსენოთ, თუნდაც, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“). ამგვარი რამ ჩვენს შინაურულ სუფრებსაც ახლდა

ხოლმე განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ პურობას ვახუშტი და ალექსი ჭინჭარაული ესწრებოდნენ. და აი, მოუსვენარმა „ჩუბჩიკამ“ გადაწყვიტა, რომ ეს ორი მოკაფიავე ტელევიზიით გამოეყვანა ფართო საზოგადოების წინაშე. გამოხმაურება დიდი იყო და უკვე დაიბადა იდეა, რომ ასეთი პოეტური საღამოები გამართულიყო ფილარმონიის დიდ დარბაზში, რასაც ენთუზიზმით შეხვდა იმ დროს ფილარმონიის დირექტორი დორიან კიტია და მთლიანად ამ დაწესებულების სამხატვრო საბჭო. ფილარმონიასთან შეიქმნა ენთუზიასტთა ჯგუფი, სადაც მთავარ „გამწევე ძალას“ წარმოადგენდნენ სწორედ თეგვიზ მირზაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭარაული, თავად დორიან კიტია, რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი და მეც.

დავიწყეთ მოგზაურობა და მოლექსეთა მოძიება-გამომჟღავნება რაიონებში. მოგზაურობა ფშავლებით დასახლებული შირაქიდან, კერძოდ, ქვემო ქედიდან დაიწყო. ყველგან, სადაც ეს ჯგუფი მივიდოდა, ხედებოდა გულითადი მასპინძელი, იმლებოდა სუფრები, სადაც, მასპინძელთა მცდელობით, თავს იყრიდნენ სწორედ ლექსად მოპაექრე-მოშაირენი. ასე რომ, სან-

ლალატობს, მან, როგორც ისინი ამბობენ, „ჯოხი უნდა დააგდოს“.



მეცხვარის ყოველი დღე თითო მოთხრობაა, მაგრამ თუ მათი დაფიქსირება დაინწყე, შენი მთავარი საქმე ხელიდან წავივა. ისინი გონებაში ილექება და ზოგი ვინმე, ძალიან ცოტა, მეცხვარეობის მერე და ინყებს წერას. ძველებიდან, რა თქმა უნდა, უპირველესი ალექსანდრე ყაზბეგი, ახლებიდან კი — მერაბ ელიოზიშვილს დავასახელებდი. მე მათ აჩრდილად თუ გამოვდგები, ესეც რამეა.


— აუცილებლად უნდა გკითხოთ თქვენს ქრესტომათიულ წიგნზე — „გიორგობიდან გიორგობამდე“, რომელიც ყველა ეთნოლოგის, ფოლკლორისტისა თუ, საზოგადოდ, თუშეთის ყოფა-ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანის სამაგიდო წიგნია. ფოლკლორისტიკის მიმართულებით სწავლის პერიოდში გავეცანი მეც ამ უნიკალურ ნაშრომს და გიორგი ცოცანიძეც პირველად ასე შემოვიდა ჩემს ალქმასში...

— წიგნის დაწერა გადამანყვეტინა უკმარისობის განცდამ, რაც მეუფლებოდა ხოლმე თუშეთზე სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის ნაწერების ნაკითხვისას. ავტორებს ორი რამ ღალატობდათ: ზოგს დოკუმენტური ცოდნის მარაგი, ზოგს — კალმის სიმახვილე, ზოგს — ერთიც და მეორეც. ვიფიქრე, ნავშველებოდი თუშეთის „მეისტორიებს“ ჩემი მცირედი შესაძლებლობებით. წიგნის შინაარსი და ფორმა საბოლოოდ განსაზღვრა ინგლისელი ავტორის — დუგლას ლოკუდის წიგნის, „მე აბორიგენი ვარ“ — გაცნობამ, სადაც ავსტრალიელი აბორიგენი ექთნის, ვაიპულდანა ვაჯირი-ვაჯირის მონათხრობზე დაყრდნობით, გადმოცემულია ავსტრალიის მკვიდრთა ცხოვრება მთელი წლის განმავლობაში. თავი ვაიპულდანად წარმოვიდგინე, მაგრამ დუგლას ლოკუდობაც მევე თავსვიდე. რაც შეეძლო, სულ ეს იყო (თუმც, ამისივე შემადგენელ ნაწილად შეიძლება, მივიჩნიოთ გვიან გამოსული წიგნი — „ნელინადი მეცხვარეებთან“).

— შეუძლებელია, არ ვახსენო ჩემთვის უსაყვარლესი, თქვენი საარაკო თუშური ნოველების კრებული — „წაწერი ხანჯრის წვერითა“. საბედნიეროდ, ეს წიგნი არც ლიტერატურულ სამყაროში დარჩენილა შეუმჩნეველი და 2004 წელს „საბას“ ლიტერატურული პრემიითაც აღიზიანდა... თქვენთვის რას ნიშნავს ის და როგორ აიკინძა წიგნად?

— ჩემი ღრმა რწმენით, პროზა, განსაკუთრებით მოთხრობები და ნოველები, ან სინამდვილეს უნდა აღწერდეს, ან იქ წარმოდგენილი ამბები უნდა ჰგავდეს სინამდვილეს. ეს წიგნი, შეიძლება ითქვას, დოკუმენტურ ამბებს მოგვითხრობს. ასეთივეა მისი წინამორბედი, „მეცხვარული ნოველებიც“, რომელიც სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი. ალბათ, გაიმარჯვებდა კიდევ, რომ ერთი გარემოება არა: ამ კომისიის ერთი გავლენიანი წევრი, ერთი იმათგანი, ვისაც პოეტმა დავით მჭედლურმა „ლიტფოდალები“ უწოდა, კომისიის წევრებს ურიგებდა ფურცლებს ერთი კონკურენტის გვართი და თან ბრძანების ტონით ატანდა — ამას მისცემ ხმას!





ამან შეაპირობა ჩემი „დამარცხება“ და იმ კონკურენტის „გამარჯვება“. ამის შემდეგ იყო, რომ ანა კალანდაძემ პროტესტის ნიშნად ის კომისია დატოვა. როგორც გურულეები იტყვიან — „მაი აფერი!“ ამით მე დიდი არა დამკლებია, გარდა ექვსიათასი ლარისა, რაც ჩემს საოჯახო ბიუჯეტს მაშინ ძალიან სჭირდებოდა.

— **ბატონო გიორგი, თქვენი ყოველი კვლევა უდიდესი პროფესიონალიზმითა და საკითხის ღრმა, მიუკერძოებელი ცოდნით არის აღბეჭდილი. ამ ყოველივეს კი ძალზე ამკობს ხოლმე თქვენური წრფელი, ფაქიზი და თანაგრძნობით გამსჭვალული აქცენტები, რომლებიც სტრუქტურებს შორის უნდა ამოიკითხოთ თუ შეიგრძნობს დაბეჭდვით მკითხველმა. ამგვარ საკითხავებს შორის არის „შეთე“ — თუში მხედრის, მე-19 საუკუნის შუა წლების თუშეთის ნამდვილი რაინდის, შეთე გულუხაიძის ლეგენდით მოხილული ისტორია. როგორც თქვენ აღნიშნავთ, დიდხანს „ვემოგვებოდი“ ამ ამბის აღსაწერად და, საბოლოოდ, ერთმა ამბავმა განსაზღვრა კიდევ წიგნის არსებობა. უამბუთ მკითხველს, რამ გიბიძგათ, შეთე გულუხაიძის ტყუილ-მართლით გაჯერებული ამბებისთვის თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, ბურუსი ჩამოგეცილებინათ?**

— „შეთე“ გაბრაზებულმა დავნერე. გამაბრაზა ერთმა შემთხვევით გაპოპულარულმა პიროვნებამ, ვინც თან შეთეს „პირდაპირი ხაზით შთამომავლად“ აცხადებდა თავს (ამ დროს, არავითარი შეთეს შთამომავალი ის არაა, დედამისი იყო გულუხაიძეთა საგვარეულოდან) და ამით ამაყობდა, თან თუშეთის ამ საამაყო გმირზე ისიც ათასი ტყუილ-მართლის ტირაჟირებას ეწეოდა.

შეთეზე ეს ჩემი ნაწერი მაინც სქემატურად მიმაჩნია. ის სხვა სიღრმის გმირი იყო და მასზე წერისას იმ პერიოდის ზეპირი თუ წერილობითი წყაროების მეტ სიღრმეებში ნასვლავა საჭირო.

მე მინერია, რომ შეთეს შთამომავლობიდან ნაკუდაანთ ერთი ოჯახი ქუმელაურელებმა მოიკვეთეს და ორი ძმიდან ერთი ნოვათაში გადასახლდა და იქ ნაკუდაშვილების გვარს დაუდვა სათავე, მეორე — ქიზიყისკენ წავიდა და ის შთამომავლობიანად დაკარგულიაო, თურმე, არა, არ დაკარგულა!

„შეთეს“ გამოსვლიდან არ იყო დიდი ხანი გასული, რომ დამირეკა ერთმა ახალგაზრდა ქალმა, ია ყანდაშვილმა, და მამცნო, რომ ქიზიყში ნასული შეთეს შთამომავალი არ დაკარგულა, იგი სოფელ მადაროში შესძმავებია ყანდაშვილებს და დღეს, ამ სოფელში, ყანდაშვილების საგვარეულოში ცხოვრობს მათი ორი შტოგვარი, ჩაჩუაანი და ნაკუდაანი, რომლებიც სწორედ იმ თუში ნაკუდაიძის შთამომავალი არიან.

— **„ტყეს ნადირითა აქვს ლაზათი... ტყეში დათვი თუ არ ლაჯუნობს, მგელი თუ არ ყმუის, შველი თუ არ ხავის, თუ მელ-კვერნა არ დაშლიგინობს, ციყვი არ ფხაკუნობს, ჩხიკვი არ ჩხავის, შაშვი არ ჭახჭახებს, ჩხართვი არ ჩხიკინობს, თუ როჭოსაც არ გადაყერი აქა-იქა, ის ტყე ტყე არ არის“ — ვკითხულობთ თქვენს მოთხრობაში „ბათლომე“. ნადირობა თუ გიყვარო?**

— სანადიროში სიარული მიყვარდა. მივლია კიდევაც, გადაყვირვარ შუნთანაც, ჯიხვროანსაც, საათობით მიყურებია კლდოვანებში შეხიზნულ-შეხამებულებისთვის, მაგრამ მოსაკლავად არასდროს მისვრია. ბოლოს ორლულიანი თოფიდან ტყუპად გამოსროლია, რომ დამფრთხალებისთვის მეყურებიან, როგორ მიფრინავენ კლდოვანებში ხამუ-ხამუში ნახტომებით და როგორ იმარჯვებენ რქებს, როგორც ჩვენ ვიმარჯვებთ ხოლმე რკინისბუნკიან ჯოხებს ციცაბო ფერდობებზე სიარულისას. ბევრჯერ დამდგომია დოკუმენტურად თვალწინ ვაჟას სტრიქონებით ნახატი ცოცხალი სურათი:

გაჭყურებია ნიავსა ჯიხვი,
ყელ-ყურით ლამაზი,

ალარ აჩხერებს ქვიშათა
კლდით კლდეზე მხტომი გავაზი.

— **ლექის წერა თუ გიცდიათ?**

— მიცდია კი არა, ახალგაზრდობაში, ანუ სკოლის მონაფეს, თავი პოეტი მეგონა. კედლის გაზეთი არ გამოდიოდა, ჩემი ლექსი რომ არ ყოფილიყო იქ. სოფლის კლუბშიც საზეიმო შეკრებებზე საკუთარი ლექსებით გამოვდიოდი. მქონდა თელავის მასწავლებელთა სახლის ნაჩუქარი ნიგნი — ყიულ ვერნის „ოთხმოციათასი კილომეტრი წყალქვეშ“, წარწერით — „გიორგი ცოცხანიძეს საუკეთესო ლექსების შექმნისთვის“. გომენარსა და პირიქითის ხეობებს ჰყოფს მაღალი საიალო საძოვარი მთა, ნაყარო. 1954 წლის ზაფხულში იქ, არდადეგების პერიოდში, მამჩემის მაგივრად ვმწყემსავდი ცხენის მოზარდულის ჯოგს. ვბინაობდი მეცხვარეებთან. იქაური საბარგე ქოხის კედელზე გვიანობამდის იდო ლურჯი ფიქალის სიპზე ჩემგან დანის წვერით ამოკანრული ხუთ-ექვს სტროფიანი ლექსი, რომელიც მწყემსებს ბიძაჩემის, გიგო ცოცხანიძის, დაწერილი ეგონათ. ბევრჯერ ჩემთვისაც უთქვამთ: უყურე, შენ! ქულას (ქულა მისი მეტსახელი იყო) რა კარგი ლექსი დაუნერიაო! ის ლექსი ასე მთავრდებოდა: „დღედალამ მარტო ხეტება, ჩემი ცხოვრების მსახველი, ერთმანეთს გადასჭდობია ტკბილი და მწარე ნაღველი“.

ასე რომ, ლექსებს ვწერდი, მაგრამ მერე, როცა ლიტერატურული გემოვნება დამეხვეწა, იმ საქმეს შევეშვი.

ამ რამდენიმე წლის წინ ლალისყურში მყოფს, ორმა იქაურმა თანაკლასელმა ქალმა შემომითვალა, აქ ვართ ერთად, მოდი, გვწახეო. უმაღ გავეშურე მათ სანახავად. ბაბულია ნიქარიშვილმა თანვე თავისი შეთხზული მეტად ჩიქორთული ლექსი მომანოდა. ლექსად, რა თქმა უნდა, ის არ ვარგოდა, მაგრამ გულწრფელი სიყვარულით კი, ალბათ, ცასაც მისწვდებოდა... იმ დღეს რაღა იქნებოდა, მაგრამ მეორე დღისთვის კი გავიხსენე ჩემი ჯვილობა და საპასუხო ლექსი გავუგზავნე: „გოგოებს“, ბაბულის და ციალას მათი კლასელი „ბიჭისავან“. საკმაოდ ვრცელი ლექსი ასე სრულდებოდა:

...და როცა მიხმობს ხელშეუქცევი
ქამი, იმქვეყნად მისაცქვევლისა,
სულს ეოხება, ასე მგონია,
ორ-ორი წვეთი თქვენი ცრემლისა.

ლექსის წერა ასე უნდა, შე მართლა „ბაბულიავ“, ყველაფერი სიბერემდე მე როგორ უნდა გასწავლო, ჰა?!” (ლალისყური, 2015 წელი).

იმ ჩემი დაქალბებისთვის ცრემლის წვეთების თხოვნა ამაოა — არც ერთი ცოცხალი აღარაა.

ისე კი, სუფრასთან თუ სხვა რაიმე თავყრილობაზე, ვინმესგან ნასროლი კავია უპასუხოდ არასოდეს დამიტოვებია.

— **რა იყო „ლუდის მოთხრობის“ დაწერის მიზეზი? მკითხველისთვის განვმარტოთ, რომ ეს არის ლუდის, მთისთვის ყველაზე საკრალური სასმელის ისტორია — ქერის მოყვანიდან, ვიდრე ლუდის სახატე კოდებში დაუნჯებამდე...**

— მინდოდა, მეთქვა, რომ ამ საკრალურ სასმელში დედამინის მაღლია ჩაუნჯებული, რომ საქართველოს მთაში ის წმინდა რამ იყო და მისი სალაზღანდარო ობიექტად ქცევა დიდი ცოდვაა, მკრეხელობაა.

— **თქვენ მრავალმხრივ სანიშნო პიროვნება ხართ, ერთ-ერთი საარაკო ამბავი კი ამ მხრივ ისიც არის, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად, არ წყვეტთ მოგზაურობას. როგორც ვიცით, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი პროექტისთვის, არჩილ ქიქოძესთან ერთად, მთელი თუშეთი ცხენით მოიარეთ — გაგვიზიარეთ შთაბეჭდილებები...**

— თუშეთისკენ მიმავალი ყველა გზა-ბილიკი არაერთგზის მქონდა გადავილილ-გადმოვლილი თუ ავტოტრანსპორტით, თუ ცხენით და ფეხით, საცხვრე გზებიც კი ცხვრის ფარებთან ერთად. ნამყოფი ვიყავი დიდოეთზე გამავალი უგრძესი გზითაც. არ ვიყავი ტბათანის გზით ნამყოფი და გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრების მიწურულს ეს ნაილიც ამესრულებინა. სამეული შევთანხმდით: გორა ლულელაური, არჩილ ქიქოძე და მე. შევიბირეთ კარგი გამყოლი, ლაშა გაგოიძე, ვინც ცხენებით დაგვხვდა ტბათანში, ნაგვიძღვა და მთელი ორი კვირის განმავლობაში ვმოგზაურობდით თუშეთისკენ, თუშეთში და თუშეთიდან. გავიარეთ ბევრი ისეთი ადგილიც, რომელთანაც დაკავშირებულია თუშური ცხოვრების რაიმე ძნელად დასავინწყებელი მოვლენა.

— **რამდენი წიგნის ავტორი ხართ და რომელიმე გამორჩეულად თუ გეძვირფასებათ?**


— ჩემი ავტორობით და თანავტორობით გამოსული, მგონი, ოცამდე წიგნი უნდა იყოს. აქედან ჩემს „სავიზიტო ბარათებად“ სამი მიმაჩნია: 1. შენგან ნახსენები „გიორგობიდან გიორგობამდე“; 2. „ნელინადი მეცხვარეებთან“; და 3. „თუშური ლექსიკონი“. დანარჩენები ისე რა, დიდი არაფერი ბედენაა. თუმცა, ზოგნი ამბობენ, პროზასაც არაუშავსო.

— **ამოსავალი პრინციპი თქვენს ნებისმიერ საქმიანობაში... რის განუხრელ დაცვას ავალდებულებთ თავს?**

— იცხოვრე პატიოსნად! ტყუილი არ თქვა! მივიცი ქვეყანას იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც შეგიძლია!

— **ბატონო გიორგი, რა არის თქვენთვის ტრადიცია?**

— ტრადიცია სიცოცხლის ხეა, სოციუმის სიცოცხლის ხე, რომელსაც ყველა თაობა უნდა რწყავდეს თავისი ცოდნა-გამოცდილების წყაროებიდან, რათა არასდროს შეჩერდეს მისი ზრდა-განვითარება.



ვისლავა შიმბორსკა

ლაბირინთი

პარალელურ კედლებს შორის
მანძილი სულ რამდენიმე ნაბიჯია;
საფეხურებით ზევით ასვლის პარალელურად,
ქვესკნელში ჩაღწევა ცაა შესაძლებელი.
შემდეგ ოდნავ მარცხნივ, ან, იქნებ,
სულაც ოდნავ მარჯვნივ უნდა გადავუხვიოთ.
ცოტაც კედელ-კედელ ვილოლოთ,
ამასობაში მეშვიდე ზღურბლთან აღმოვჩნდებით...
წინ გზაჯვარედინიც გველოდება —
იმედებთან, შეცდომებთან, ვენებებთან,
მცდელობებთან, ზრახვებთან
და კიდევ ერთხელ იმედებთან გადაკვეთის ადგილი,
მაგრამ ისინი მაშინათვე აორთქლდებიან...
გზა გზით გაგრძელდება,
უკან დასაბრუნებელი კი აღარსად იქნება.
ისეთ ადგილას აღმოვჩნდებით,
სულ წინ რომ უნდა ვიაროთ.
პეიზაჟი პეიზაჟს შეცვლის,
ჩვენ კი შევძლებთ ავირჩიოთ,
სად ვიყოთ, ან სად არ ვიყოთ...

ლაბირინთიდან გამოღწევა შესაძლებელია
შეგვიძლია, გადავახტეთ, ან სულაც გვერდი ავუაროთ,
მთავარია, არსად გადავიჩხოთ.
მარჯვნივ ნავალთ თუ მარცხნივ,
ვარაუდით თუ ინტუიციით,
მეხსიერებაზე დაყრდნობით,
სწორად თუ მრუდედ,
გზა მაინც აგვებნება.
მერე კარიბჭის გავლით

გრძელ კორიდორში შევაბიჯებთ...
ადრე მივალთ, დროულად თუ დაგვიანებით,
დრო მაინც ცოტა გვექნება.
ყველაფერს ნისლი და ბურუსი ჩამოეფარება,
თუმცა შუქი ალაგ-ალაგ მაინც გაკრთება;
უნდა ვიცოდეთ:
იქ სიხარულს სიხარულის მნიშვნელობა სულაც არა აქვს,
იქ ბედნიერება და უბედურება
მუდამ გვერდი-გვერდ თანაარსებობენ,
იქ ყველა სიტყვის მნიშვნელობა
ბრჭყალებში უნდა ჩაისვას,
იქ თავიდან, თითქოს, ყველაფერი კარგადაა,
მაგრამ მერე საიდანაც უფსკრული გაჩნდება,
უფსკრული კი გაჩნდება,
მაგრამ მაშინვე ხილიც გაიდება,
ხილი კი გაიდება,
მაგრამ მორყეული აღმოჩნდება,
მორყეული, მაგრამ ერთადერთი —
სხვა ხილი იქ არ იქნება.

ექვგარეშა:
გამოსავალი უნდა არსებობდეს,
თუმცა შენ არ ეძებ;
ის აქეთ გეძებს — უკან მოგდევს დიდი ხანია,
ლაბირინთი კი სხვა არაფერია,
თუ არა შენი,
მხოლოდ შენი,
თუკი ჯერ კიდევ შეგიძლია,
მხოლოდ შენი გაქცევა.



დასაწყისი და დასასრული

ომის დასრულების შემდეგ
წესრიგის დამყარებაზე უნდა ვიზრუნოთ —
აბა, მისი ნარჩენები
თავისით ხომ აღარასდროს გასუფთავდება?..
ჯერ გზები უნდა გაინიშნოს,
გვამებით გადავსებულმა ავტომობილებმა
დაუბრკოლებლად რომ გაიარონ;
ვილაცას ნაგავსა და ნაცარში —
ტახტის ზამბარებში,
შუშის ნამსხვრევებში,
ან მონამულ ბალახებში მოუნევს ჩიჩქნა...
ვილაცამ ჩამონგრეულ კედლებს
საყრდენი უნდა გაუმაგროს,
ვილაცამ ფანჯრებს
ჩამსხვრეული მინები გამოუცვალოს,
კარებს კი ახალი საკეტები დაუყენოს...
ასეთი განმნდობი სამუშაოები, როგორც წესი,
წლების განმავლობაში გრძელდება,
ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ყოველივე
ფოტოგენური სულაც არ არის
და მაშინ,
როცა დალაგების მტკიცე სურვილით გადავივსებით,
ფოტორეპორტიორები
თავიანთ ჩხაკუნა ფოტოაპარატებს
სხვა ომებისკენ შეატრიალებენ...
აქ კი ხიდები და სადგურები გასაახლებელი...
მაღლე ჩვენს ხელებს მძიმე შრომა დაანჯება,
მაღლე ყველანი ოფლის წვიმით გავიხვითქებით...
აი, იმას, ხელში ცოცხი რომ უჭირავს,
ჯერ კიდევ ახსოვს, რა როგორ იყო,
დამდგარა და ხმამაღლა ყვება ომის კომპარებს,
ვილაც კვერს უკრავს — თავის ქნევით
უდასტურებს მონათხრობის ჭეშმარიტებას...
თუმცა მაღლე ისეთებიც გამოჩნდებიან,
ამ ამბების მოსმენისგან მაშინვე რომ მოსწყინდებიან...
ვილაც უტყუარ,
მაგრამ დაფრფლილ არგუმენტებს გადააწყობდა
და მაშინვე ნაგავსაყრელს მიბარებდა...
მაღლე ისინი, ვინც სიმართლე კარგად იცოდა,
თავიანთ ადგილს მათ დაუთმობენ,
ვისაც ომზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს;
მოგვიანებით მათ ისინი ჩაანაცვლებენ,
ვისაც კიდევ უფრო ცოტა სმენია მასზე,
საბოლოოდ კი სივრცეს ისინი აითვისებენ,
ომის ამბებზე საერთოდ რომ არაფერი არ გაუგიათ.
ამ დროს ბალახზე —
ზედაპირზე მიზეზები და შედეგები რომ ამოზრდია,
ვილაც პირაღმა გაიშხლართება
და ღრუბლების მტანებებს დაუწყებს თვალთვალს.

ბრაივალის „ორი მაიმუნი“

ასეთია ჩემი სიზმარი:
საატესტატო გამოცდას ვაბარებ,
ფანჯრის რაფაზე ერთმანეთზე გადაბორკილი
ორი მაიმუნი დასკუპებულა.
ფანჯრებს მიღმა ზღვა კამკამებს, ცა კი ლიცლიცებს;
კაცობრიობის ისტორიის მოყოლას ვინყებ —
რაღაცას გაურკვეველად ვლულლულვებ.
ერთი მაიმუნი, რომლის სახესაც ანფასში ვხედავ,
ჯერ მაკვირდება, მერე ირონიულად ეღიმება,
ამ დროს მეორე — პროფილით რომ დამჯდარა ჩემგან
— ყურს არც კი მიგდებს,
თითქოს, საკუთარ თავშია ჩაკარგული,
მაგრამ როგორც კი გამომცდელი კითხვას დამისვამს,
ჩემი პასუხის ნაცვლად კი
იქაურობას დუმილი ჩამოეფარება,
ჯაჭვის ოდნავი დაჟღერებით,
ცდილობს, მიმანიშნოს,
რომელია ამ კითხვაზე სწორი პასუხი.

ნამბაზი

არაფერი შეცვლილა...
ტკივილი, თითქოს, სხეულს მიხორცებია —
მისით იკვებება და სუნთქავს,
მასშივე სძინავს...
გარედან სიფრიფანა გარსი შემოუკრავს,
რომლის ნიაღმიც სისხლი ჩაგუბებულა,
უამრავი კბილი და ბრჭყალი გამოზრდია,
ძვლები მსხვრევადი გახდომია,
სახსრები კი — გადაჭიმული...
მისი ამგვარი მდგომარეობა ნამბების პროცესში
მუდამ გათვალისწინებულია...
არაფერი შეცვლილა...



ვისლავა შიმბორსკა

სხეული ზუსტად ისე ცახცახებს,
როგორც რომის დაარსებამდე,
ან მეოცე საუკუნეში,
ქრისტეშობამდე ან ქრისტეშობის შემდეგ...
ნამბაზი ყოველთვის არსებობდა — ახლაც არსებობს,
მხოლოდ დედამინა დაგვივიწროვდა
და თუკი სადმე რამე ხდება,
გვეჩვენება, თითქოს, აქვეა — ჩვენს კედლებს მიღმა.
არაფერი შეცვლილა...
მხოლოდ ადამიანები გაბევრდნენ,
ძველი ბოროტებების გვერდით ახლები გაჩნდნენ —
ნამდვილები და შთაგონებულები,
ნამიერები და არანაირები...
ის კვილიც, სხეული რომ მოთქვამს,
იყო, არის და მუდამ იქნება და აღიქმება,
როგორც უბინო მსხვერპლთა გმინვა,
როგორც სამყაროს მარადიული წესრიგი
და ჭეშმარიტება.

არაფერი შეცვლილა.
მხოლოდ მანერები, ცერემონიები, ცეკვები,
ხელის შესტი კი —
როცა დარტყმისგან თავდაცვას ვცდილობთ —
უცვლელი დარჩა...
ჩვენი სხეული იკლავება, შფოთავს და ფეთქავს,
ძირს ენარცხება, მუხლები ეყვლიფება,
ლურჯდება, სივდება,
ნერწყვისა და სისხლისგან იცლება...
არაფერი შეცვლილა, მდინარეების დინების,
ტყეების კონტურების, სანაპიროების,
უდაბნოებისა და მყინვარების გარდა.
საკუთარი თავისთვისვე
უცხო და გამოუსადეგარი სული კი
სწორედ ამ პეიზაჟებს შორის დაბოროტდის,
უჩინარდება, ისევ ჩნდება...
ბოლომდე იმაშიც ვერ გარკვეულა,
მართლა არსებობს თუ არა,
საერთოდ არის თუ არა,
მაშინ, როცა სხეული არის,
არის და არის
და ნასასვლელიც არსადა აქვს,
თუკი ოდესმე სადმე ნასვლაზე გაეფიქრება.

მონოლოგი კასანდრასთვის

ეს მე ვარ, კასანდრა.
ახლა თქვენ თვალწინ
ფერფლად ქცეული ჩემი ქალაქი გადაიშლება.
ესენი ჩემი ნაზირ-ვეზირები,
ესენი კი ორაკულები არიან,
კუთხეში რაც გდია,
ექვებში გახლართული ჩემი ფიქრებია.
სიმართლე ისაა, რომ გავიმარჯვე
და დღეს ეს გამარჯვება ისეთივე კაშკაშაა,
როგორც მთვარე სავსემთვარობისას;
მსგავსი რამ
მხოლოდ ისეთ წინასწარმეტყველს შეემთხვევა,
რომლის ნათქვამისაც არავის სჯერა,
რომელიც მაშინვე საქმეზე გადადის,
მისი წინასწარმეტყველები კი
ისე სწრაფად ახდება ხოლმე,
თითქოს, არც ყოფილაო.

ცხადად მახსოვს:
როგორც კი შორიდან დამლანდავდნენ,
სანახევროდ წარმოქმნილი სიტყვები
ბაგეებზე ეყინებოდათ,
ნახევარსიტყვებთან ერთად
ლიმილიც დუმილში უვარდებოდათ,
ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები ცალკევედებოდნენ,
შემინებული ბავშვები კი
თავიანთ მშობლებთან გარბოდნენ.
წარმოგიდგენიათ? —
თითოეულის არაფრისმთქმელი სახელიც კი ვიცოდი
და მწყინდა, ჩემი თანდასწრებით
მწვანე ფოთოლზე შექმნილი სიმღერის
ბოლომდე დასრულებას რომ ვერავინ ბედავდა...
მე ისინი მაინც მიყვარდა...
მიყვარდა, მაგრამ ჩემი სულის სამრეკლოდან,
სიცოცხლის მიღმა — მომავლიდან,
ანუ იქიდან, სადაც მუდამ ქაოსია
და საიდანაც
სიკვდილის ხილვა უფრო მეტად გვიადვილდება.
მგონი, ვნანობ, ჩემი ხმა მჭახე და შეუვალი რომ იყო:
— შეხედეთ საკუთარ თავს ვარსკვლავებიდან —
გაყვიროდი,
— შეხედეთ საკუთარ თავს ვარსკვლავებიდან... —
ისინი ისმენდნენ და ფეხქვეშ იყურებოდნენ —
ქარიშხლებისგან განდევნილები
მხოლოდ ერთ განზომილებაში ტივტივებდნენ...
მორჩილად ინვინენ სხეულებში —
დაბადების წამიდანვე რომ უნდა გამომშვიდობებოდნენ,
თუმცა ცოცხლობდა მათში რაღაც —
მოლიპული ოცნების,

ან, იქნებ, სულაც მოციმციმე კოცონის მსგავსი,
რომელიც შიმშილს თავისი სიკაშკაშით აორთქლებდა...
მათ კარგად იცოდნენ, რას ნიშნავს წამი...
იქნებ, ერთი მათგანი მაინც...
სულ ერთია, რომელი...
ნებისმიერი...
მანამ, სანამ ჯერ კიდევ შემწვეს რაღაცის ძალა...
მაგრამ არა — შეუძლებელია,
აქედან რამე გამომივიდეს...
ეს ხომ მხოლოდ ცეცხლის ენისგან
დადორბილი ჩემი შესამოსელი
და ფარატინა წინასწარმეტყველური ბოდვებია...
ეს ხომ მხოლოდ ჩემი დაღვნილი სახეა,
სახე, რომელმაც არ იცოდა, რომ თამამად შეეძლო,
ლამაზი ყოფილიყო.

უტოპია

და მგონია, რომ:
ზედ დაყვარებ უცნაურ კუნძულს —
ბლანტი სიმართლე სხეულზე რომ ფენებად აკრავს.
ჩვენ კი ვეყრდნობოდით
უჩვეულო მტკიცებულებებს იმის შესახებ,
რომ არსებობს —
ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მშვიდად...
გზას ჩაჰყავს გაუკვალავს ნაპირისკენ ჩვენი სხეული.
თითქოს, არ არის სხვა საშვლი, გამოსავალი,
თითქოს, ვცდილობთ, რომ ბანალური გამჭრიახობა
და უცხვირპირო თანალმობა
სხვების წინაშე სწორედ ამგვარად
გამოვფინოთ, გამოვალაგოთ...
და მივაბოტებთ ტყუილების გაუვალ ტყეში,
რომლის ნიაღმიც სიმართლის ხმა შიშისგან ბუფტავს;
და სანამ მივალთ, რომ ახლოდან თვალი შევავლოთ,
ქარი აგვის და აამშრალებს...
გზად კი დატოვებს დროის მტვერს მხუთავს —
ნამსხვრევებისგან ორივე თვალი რომ ამოგვივსოს
და სამუდამოდ დაგვაბრმავოს.
თითქოს, ფეხდაფეხ მივუყვებით უცნაურ ექოს,
საიდუმლოსთვის ფარდის ახდას რომ აგვიანებს,
მის უცხო სიტყვებს — მნიშვნელობებამონურულებს,
გამოქვაბულის კედლების სისქე ჩაისამარებს.
ნდობის ხარისხი კი, რატომღაც,
მიადნებს მწვერვალს —
სულ არ დაგვტრგუნავს,
ყველა გზას რომ ზღვასთან მივყავართ,
ზღვასთან,
ჩვენს კვალს რომ უმონყალოდ გულში ჩაიხვევს
და ამოუცნობ სიცოცხლეში მშვიდად შევყავართ.

თარგმან სოფო ნულიაძე

შედეგი ნომერი გამოსა
ერთ კვირაში —
18 ივნისს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
სამრეწველო და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1772346 1794004